# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 20 მაისი, 2010 წელი.

№93 (6459)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ნომრის კარიკატურა






## რითი განსხვავდება ინგლისელი ჯენტლმენი ერთი ჩვენებური მანდილოსანი პარლამენტარისგან

3

## დაუპატიჟებელ ვიზიტებს დაჩვეული პრეზიდენტი ამაოდ ამყარებდა იმედს ჯიქურ მოწოდებაზე

9

## მხოლოდ საპატრიარქოს მტკიცე პოზიცია გადაგვარჩენს

4

მუხრან მაჭავარიანს მთელი საქართველო გლოვობს



**მუხრან მაჭავარიანის დამკრძალავი კომისიისგან**

პოეტი-აკადემიკოსის მუხრან მაჭავარიანის პანაშვიდი გაიმართება 20-21 მაისს, 16 საათიდან ბინაზე – ი. აბაშიძის 48; გადასვენება სამების საკათედრო ტაძარში 21 მაისს, საღამოს 19 სთ-ზე; გამოსვენება ტაძრიდან 22 მაისს, 13 სთ.ზე.

დაკრძალვა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



## უახლოესი აპოკალიფსი დანიშნულია 2012 წლის 23 დეკემბერს

11

## უთამომავლობას მემკვიდრეობად ვალს უტოვებთ?



7

## აქცია

# ხელისუფლებამ ადვოკატთა მოთხოვნებიც და უფლებებიც უგულებელყო

**26 მაისის ალლუმის ჩასატარებლად ხელისუფლებამ მზადება დაიწყო. ღონისძიება რომ გრანდიოზული იქნება, ამის თქმის საფუძველს პარლამენტის წინ აღმართული ფიცარნაგები იძლევა, რომლის აწყობა, კონსტრუქციების დალაგება ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.**

ამასთანავე, რამდენიმე დღეა რუსთაველის გამზირზე ადვოკატები იფიცებიან. მათ 24-საათიან რეჟიმში აქციის გამართვის შესახებ თბილისის მერიისგან ნებართვა 10 ივნისამდე მიიღეს, თუმცა ჩინოსნებმა არად ჩააგდეს ადვოკატები და მათი მოთხოვნები და ალლუმის მოკიზეზებით იქიდან მიაბრძანეს (არაპირდაპირი მნიშვნელობით), პარლამენტის წინ მიმდინარე სამუშაოები, აქციის გაგრძელების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ადვოკატთა ასოციაციის სახელით ბრიფინგი გაიმართა. **ვახტანგ გაგნიძე:** უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჩუმად მოგვიგზავნეს პატრულის თანამშრომლები, რომლებიც გვთხოვდნენ კარვის უკან წაღებას. როგორც იცით, ის აქციის დაწყებიდან რამდენიმე ხანში წაგვართვეს და კარვის გაშლის საშუალება არ მოგვცეს. კანონდარღვევით წაღებული ნივთი კი წამღებმა კანონის დაცვით უნდა დააბრუნოს, ამიტომ მის წამოღებას არ ვაპირებთ.

რაც შეეხება აქ წარმოდგენილ ხის კონსტრუქციებს, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ესეც უკანონო ქმედებაა. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, აქციის მონაწილეებს შეგვითანხმოს, რას აპირებს აქ, ანუ ჩვენი კანონიერი ქმედებებიდან განსხვავებით, ხელისუფლების ეს ქმედებაც უკანონოა. რაც შეეხება აქციის სხვა მონაწილეებს, ისინი ამ წუთებში ხვდებიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. მათ გააცნობენ საარჩევნო კოდექსში იმ 10-პუნქტიან ცვლილებას, რომლის მოთხოვნითაც რამდენიმე დღეა ადვოკატთა აქცია მიმდინარეობს.

**— ბატონო ვახტანგ, თითქოს თქვენი მოთხოვნები უფრო მეტში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც პატრულმა კარავი წაგართვათ, ხოლო ხელისუფლებამ თქვენი არც ერთი მოთხოვნა არ გაიზიარა. ამჯერად მართლაც ითხოვთ ვადამდელ პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებს?**



— არა, ეს მოთხოვნები ჩვენ არასოდეს გვქონია. ჩვენი მოთხოვნები არ შეცვლილა. მხოლოდ რამდენიმე ჩასწორებას მოვითხოვთ საარჩევნო კანონში, რომელიც ხელს შეუწყობს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. ნებისმიერი ის საკითხი, რაც ჩვენ წარმოვადგინეთ, მართალია მცირე დოზით შეიცავს პოლიტიკურ მარცვალს, თუმცა არაა ისეთი მასშტაბური, როგორც ვადამდელი არჩევნები.

**— ვთქვათ, დიპლომატებთან შეხვედრამ შედეგი გამოილო, მოესწრება 30 მაისამდე კანონში ცვლილებების შეტანა?**

— მართალია, დაგვიანებული იყო ჩვენი რეაქცია და ხელისუფლებაც გულისყურით უნდა მოკიდებოდა ჩვენს მოთხოვნებს, თუმცა პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით ცვლილებების შეტანა შეუძლებელია. პარლამენტი დატხოვნილია, მაგრამ კანონის რეგლამენტში შეტანილი ახალი ცვლილებებით, პარლამენტს შეუძლია საგანგებო სესია მოიწვიოს, თუკი ამის საჭიროება არსებობს. ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები, თუმცა თავისი შინაარსით და ფორმით მარტივი განსახორციელებელი.

**— რომ შეეთანხმებინა ხელისუფლებას თქვენთვის ალლუმის ჩატარების შესახებ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით: შეწყვეტდით აქციას, თუ არ მისცემდით ღონისძიების ჩატარების უფლებას?**

— აქციას გავაგრძელებდით. სავალდებულო იყო, მობრძანებულიყვნენ და პატივი ეცათ ჩვენი უფლებებისთვის. ჩვენ არ გავსულვართ კანონის მოთხოვნათა ფარგლებიდან, აი, ხელისუფლება კი თავისავე დაწერილ კანონებს არად დაგიდევთ.

**— რას აპირებთ 26 მაისს?**

— იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რას ვიზამთ 26 მაისს, აუცილებლად პრესას შევატყობინებთ... სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ამ წუთში 24-საათიან რეჟიმში აქციის გაგრძელებას ვერ ვახერხებთ.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

## აპელაცია

# სასამართლოს სამარცხვინო გადაწყვეტილება

**თბილისის სააპელაციო სასამართლომ ენგურჰესის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით კომპანია „ინტერ რაოსა“ და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საჯაროობასთან დაკავშირებით გაზეთ „რეზონანსისა“ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივარი არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გუშინ გამოცხადდა.**

სააპელაციო სასამართლოში წინა სხდომაზე მხარეების არგუმენტები მოისმინეს და ასევე შედგა მტკიცებულებების გამოკვლევა.



საბოლოოდ, სასამართლომ გადაწყვიტა ძალაში დაეტოვებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნული მემორანდუმის საიდუმლოდ დატოვებას ეხება.

როგორც გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა განაცხადა, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სამარცხვინო გადაწყვეტილებაა და იგი აუცილებლად შეიტანს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარს.

შედეგის არმიღწევის შემთხვევაში კი საქმე სტრასბურგში გადაინაცვლებს. ენგურჰესის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით მემორანდუმი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „ინტერ რაოს“ შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა.

მოგვიანებით „ინტერ რაოს“ მოთხოვნით მას ენერგეტიკის სამინისტრომ საიდუმლო დოკუმენტის სტატუსი მიანიჭა. გაზეთი „რეზონანსი“ კი გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, ითხოვდა დოკუმენტი ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და საჯარო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ინფორმაცია

### რატომ მიატოვა ობამამ საქართველო?



**რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოკავშირეების, მათ შორის საქართველოს მიტოვებაში ადანაშაულებს.**

**როგორც მაკკეინმა ნიქსონის ცენტრში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, იმ დროს, როცა საქართველოს ტერიტორიები რუსეთს ოკუპირებული აქვს და იქ სამხედრო ბაზებს აშენებს, ბარაკ ობამას მიერ რატიფიცირებისთვის სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ შეთანხმების კონგრესისთვის გადაგზავნა დაუშვებელი იყო.**

ამასთან, რესპუბლიკელმა სენატორმა განსაკუთრებული პროტესტი ობამას იმ განცხადების გამო გამოთქვა, რომელშიც აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს საკითხი ამ შეთანხმებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს აღარ წარმოადგენს.

— ზოგს უკვირს რატომ ფიქრობენ ქართველები, რომ ვაშინგტონმა ისინი რუსეთთან გადატვირთვის ღილაკზე ხელის დაჭერის ფასად გაყიდა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ქართველების გარდა აღმოსავლეთ ევროპელებიც წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ამერიკელებმა ისინი მიატოვეს, — განაცხადა მაკკეინმა.

### სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად უნდა მოვიხსენიოთ

**ექსპერტ სოსო ცინცაძის შეფასებით, ევროპარლამენტის მოხსენებაში აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის „ოკუპირებულ ტერიტორიებად“ მოხსენიებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.**

— თვითონ ის ფაქტი, რომ ამ დონეზე პირველად საქართველოს ტერიტორიებს „ოკუპირებულის“ სტატუსი მიენიჭა, გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. თუმცა რეალური შედეგები ამას არ მოჰყვება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ადგება და მორჩილად დეოკუპაციას მოახდენს. ოკუპაცია გაგრძელდება, მაგრამ ეს უკვე ერთი ნაბიჯია რუსეთის იზოლაციისკენ გადადგმული, — განაცხადა სოსო ცინცაძემ.



მისივე შეფასებით, დასავლეთში საქმიან წრეებს, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდათ რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა და მისი განაწყენება, რადგან „გაზპრომისგან“, „როსნეფთისგან“ თანამშრომლობით ძალიან დიდი მოგება აქვთ იგივე გერმანის, ავსტრიის ხელმძღვანელობას, ტერმინი „ოკუპაციის“ დამკვიდრებით მათ ურთიერთობაში ბზარი შედის.

ექსპერტის შეფასებით, მას შემდეგ, რაც დასავლეთში იმ ფინანსური წრეების გავლენა მოიხსნება, რომლებიც თანახმა არიან, რომ რუსეთთან ნებისმიერ ფასად ჰქონდეთ ეკონომიკურ თანამშრომლობა, ვითარება ცალსახად შეიცვლება.

### ბაზალეთში ჩასახლებულ დევნილებს საცხოვრებელი ფართი გადაეცათ

**დროებითი საცხოვრებელი ფართები ბაზალეთში მცხოვრებ დევნილებსაც დაუკანონდებათ.**

ამის შესახებ ინფორმაცია მათ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა პირადად მიაწოდა.

მინისტრმა მოხუცთა ყოფილი პანსიონატის შენობაში შესახლებული იძულებით გადაადგილებული პირები მოინახულა და მათი საყოფაცხოვრებო პირობები დაათვალიერა.

აღნიშნულ ობიექტში, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ცოტა ხნის წინათ ჩაუტარდა, 40 ოჯახი ცხოვრობს.

### სეპარატისტებმა ჩვენი მოქალაქეები დააკავეს



**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო საზღვრის დარღვევის“ გამო, ოსურმა მხარემ საქართველოს 8 მოქალაქე დააკავა.**

პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებულის მოადგილის მერაბ ჩიგოევის ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა „სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო“ ჯერ საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს, შემდეგ, იგივე ბრალდებით კიდევ ერთი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც საზღვარი ცხინვალის რაიონის სოფელ არცევთან დარღვია.

ამავე დროს, მისივე ინფორმაციით, ამ დაკავებული ადამიანების გარდა, სამართალდამცავებმა კიდევ დააკავეს ორი მოზარდი, რომელთაც ასევე „საზღვრის დარღვევა“ ედებათ ბრალად.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ პოლიტწკიპურტი


შუშის ხიდი

# კატეგორიული ტონით გასაყვარლებული ხიდი და „ქართველობაჩამორთმეული“, სულ ცოტა, ასიათასობით ქართველი,

## ანუ რითი განსხვავდება ინგლისელი ჯენტლმენი ერთი ჩვენებური მანდილოსანი პარლამენტარისგან

*— ცოლი გირჩევნია თუ საყვარელიო, — უკითხავთ მეგრელისთვის.*
*— მაგნებს შორის რომელიცაა უფრო საყვარელი, მაგას თვითონ სიტყვაც მიანიშნებსო, კანეჩნო! — უმალ უპასუხია ძუკუს.*
*რამ გამახსენა ეს ძველი ანეკდოტი და კალამიც რამ ამაღებინა?*
*ვიდრე ამას მოგახსენებდეთ, ბარემ ის ერთი ნიუანსიც აღვნიშნოთ, რომელიც ინგლისელ ჯენტლმენს ერთი ჩვენებური მანდილოსანი პარლამენტარისგან განასხვავებს: იგი თურმე არასოდეს ეცდება, რომ თავს მოგახვიოს საკუთარი აზრი და არასოდეს არაფერს არ იტყვის კატეგორიული, უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის მქონე ტონით, — გარეთ დელგმაც რომ მოდიოდეს, მგონი წვიმსო, — ამის აღნიშვნით დაკმაყოფილდება თურმე.*

ახლა ვნახოთ, იმისგან განსხვავებით, რაოდენ კატეგორიულია ჩვენებური პარლამენტარი ხათუნა ოჩიაური „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**„მიხეილ სააკაშვილი,** — ამბობს იგი, — **დღეს ქართველი ერის და არა თავისი ნების გამომხატველია... ეიფელის კოშკი პარიზის სიამაყე და სიმბოლოა. რიყეზე მშენებარე ხიდიც ასევე საყვარელი გახდება ყველასათვის“.**

ვაი! აქამდე რომ მეგონა, ქართველი ვარ-მეთქი და ეს მეამაყებოდა, თუ ქალბატონი ხათუნა ამ თავის კატეგორიულ დასკვნაში ოდნავ მაინც მართალია, მარტო მე კი არა, ვგონებ, უამრავი, სულ ცოტა, ასიათასობით ჩემნაირი ივერიელიც არაქართველი ვყოფილვართ!

**დიახ, ასეა, რადგან მე, ერთ რიგით ქართველს, ბატონი მიხეილი, ზოგჯერ თავისი არაადეკვატური საქციელითა თუ ძალიან ხშირად ბოლომდე მოუფიქრებელ-გაუაზრებელი ქმედება-გამონათქვამებით, სულაც არ მიმაჩნია ჩემი ნებისა თუ, უბრალოდ, პოზიციის გამომხატველად!**

ჩემნაირი კი, მოგახსენეთ, ასეულ ათასობით ქართველია, **ანუ, არაკატეგორიული ტონით თუ ვიტყვი, ერის საკმაოზე მეტი ნაწილი.**

ამის დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითების საძიებლად შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც ამ რამდენიმე დღის წინათ ბათუმში, შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნისას, მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული **„საისტორიო“** სიტყვები გავიხსენოთ — **ქართველობა სომხურ ეთნოსს ნიშნავსო** (მართალია, მერე კი ამოიღეს სამთავრობო „თავისუფალმა“ ტელეარხებმა მისი გამოსვლიდან ეს გამონათქვამი, მაგრამ სიტყვა ხომ გაფრენილი ჩიტივითაა!ძ.

ამ მეზობელი ერისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არასოდეს ჩამითვლია და არც ჩავთვლი თავს სომხური ეთნოსის წარმომადგენლად!

თქვენ, პარლამენტარო ხათუნა?

**თუ ასე ჩათვლით, ხომ მართლაც ცუდ დღეში ყოფილა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თუ არადა, როგორლა არის, თუნდაც ამის გათვალისწინებით, დღეს მიხეილ სააკაშვილი ქართველი ერის ნების გამომხატველი?**

ახლა ქალბატონ ხათუნას კიდევ ერთი კატეგორიული გამონათქვამი — რიყეზე მშენებარე ხიდიც ასევე


ბარათაშვილის სახელობის ორიარუსიანი ხიდი

საყვარელი გახდება ყველასთვისო.

რატომ ასე დაბეჯითებით, პარლამენტარო ხათუნა? თუ იმ მაქსიმას არ ეთანხმებით, გემოვნებაზე არ დავობენო, რომ გვიმტკიცებს, არც ის ფრთიანი გამოთქმა გეგულისხმებათ, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგსაც — ფოფოდიაო? **იქნებ მაგ მშენებარე ხიდს უკვე დიდი ხნის წინათ იქვე, ახლოს აშენებული მეტეხის ხიდი მირჩევნია? თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველწლიურად სწორედ იქიდან მიაგებენ პატივს ქრისტიანობისთვის თავდადებული ასი ათასი ქართველის ნათელ ხსოვნას!**

თუმცა ამჯერად სულ სხვა რამის თქმა მინდა: სასიკეთო სიახლის თუ აშენებულ-დამშვენებულის წინააღმდეგი რომელი ჭკუათმყოფელი იქნება, მე რომ ვიყო, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი წესი, რიგი და დრო აქვს?

**ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამჟამინდელ ვითარებაში ამ ხიდის მშენებლობის დაწყება დაახლოებით იმას ჰგავს, ოჯახის უხეირო თავკაცმა ავადმყოფი შვილის განკურნებისთვის საჭირო ფული გარე-გარე სიარულ-ქეიფსა და ზიზილ-პიპილოების შეძენას მოახმაროს.**

რა შუაშია ავადმყოფობის ხსენება?

ეს შუშის ხიდი, მოგეხსენებათ, ერთმანეთისგან სულ რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებს შუა შენდება.

სწორედ ბარათაშვილის ხიდია „ავადმყოფი“, რომელსაც სერიოზული „დაავადების“ სიმპტომები კარგა ხნის წინათ აღმოაჩნდა.

ამიტომაც იყო, რომ მისთვის და მისსავე მდგომარეობაში მყოფი ვახუშტი ბაგრატიონის ხიდისთვის სწორი „დიაგნოზის“ დასმა-„მკურნალობის“ მიზნით თბილისის მერიამ 2007 წელს კონკურსი გამოაცხადა.

მასში გამარჯვებულმა შპს „საქგზამეცნიერებამ“ ხიდების გულდასმით შემოწმების შემდეგ დაასკვნა, რომ მათი მდგომარეობა ერთობ დამაფიქრებელია. ამიტომაც აუცილებელია სათანადო აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოების ოპერატიულად განხორციელება, რათა ვითარება კიდევ უფრო არ გამძაფრდეს და დამძიმდეს. მანვე შეადგინა აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაც და ყველაფერი ეს დამკვეთს — თბილისის მერიას ჩააბარა.

და როგორ ფიქრობთ, მკითხველო, რა დაჯდებოდა ორივე ხიდის კაპიტალურად გარემონტება?

**არც მეტი, არც — ნაკლები, სულ 905 (ცხრაას ხუთი) ათასი ლარი!**

ახლა ისა ვთქვათ, თურმე ყველასათვის საყვარელი რომ გახდება, იმ შუშის ხიდის მშენებლობა რა დაუჯდება ქვეყნის ხაზინას? — **რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი!**

**აი, სწორედ ეს არის ჩვენი ხელისუფლების მორიგი არაადეკვატურობა პარლამენტარო ხათუნა.**

შინ რომ ბავშვი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო, უთქვამს ხალხს.

**ამისი არ იყოს, უამრავი უსერიოზულესი პრობლემის თუ სატკივარ-საწუხარის მქონე და ამდენი გაჭირვებულ-მიუსაფარი მოქალაქის მყოლი ქვეყანა მილიონობით დოლარს რომელიმე ტუტრუცანა ქალის პიჯაკზე მისაბნევ „ბროშკასავით“ სამშვენისად გამოსადეგი ხიდის მშენებლობას უნდა ახარჯავდეს?**

ეს არის მთავარი, თორემ სიმშვენიერე-სილამაზისა ჩვენც გაგვეგება რაღაც მაინც, ქალბატონო ხათუნა.

ალბათ, იმაშიც დამეთანხმებით, რომ, როდესაც ადამიანს რამე სტკივა, მას სილამაზის ჯეროვნად აღქმის თავი არა აქვს.

ჩვენს ქვეყანას და ხალხს კი იმდენი რამ სტკივა!

თუმცა, რაკი გვტკივა, იმას როდი ვუკიჟინებ ვინმეს, არაფერი ვაკეთოთ და არაფერი, თუნდაც ხიდები, არ ვაშენოთო.

პირიქით, უნდა ვაშენოთ, მათ შორის, ხიდებიც, რადგან ამჟამინდელზე ბევრად მეტი ხიდია საჭირო მტკვარზე, რათა სატრანსპორტო მოძრაობა გაიოლდეს და ქუჩები ტრანსპორტისგან შეძლებისდაგვარად განიტვირთოს.

ამდენად, ამ ეტაპზე სწორედაც სამანქანო ხიდების მშენებლობაა მტკვარზე საჭირო (არსებულთა გარემონტების პარალელურადძ და არა ოდენ ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილისა (მით უფრო, რომ სწორედ ბარათაშვილის ხიდის მსგავსი ორიარუსიანი სატრანსპორტო ხიდების გამოყენება ქვეითად მოსიარულეთათვისაც შეიძლებაძ.

ანუ, მოკლედ თუ მოვჭრით, ამ საქმისადმი პროფესიული, გააზრებული და ადეკვატური, ანუ დღევანდელობის მოთხოვნათა შესატყვისი მოქმედებებია საჭირო.

**ამის თაობაზე სწორედ პროფესიონალის აზრს შემოგთავაზებთ ახლო მომავალში, მკითხველო, თორემ ხელმწიფის ნავში ჩასკუპებისა თუ ხელმწიფისავე საყვარელ ხიდზე სიარულის მოყვარულთა აზრი ისედაც ცნობილია.**

რუსლან რუსია

◎ ვინ — ვის?



# „ალიანსი“ და ნოღაიდელი ამ ხელისუფლების ორ მხარეს წარმოადგენენ

*მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და თბილისის მერის არჩევნებთან დაკავშირებით უამრავ რამეს პროგნოზირებენ. ზოგის აზრით, ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა აქვს და ეს არჩევნებია. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების განცხადებით კი, 30 მაისის არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ ფარსია და ამ მოტივით ნინო ბურჯანაძის პარტიამ, „ლეიბორისტებმა“; „ეროვნულმა ფორუმმა“ და სხვა რეიტინგულმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა არჩევნებში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს. 30 მაისის არჩევნებში არ მონაწილეობს ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც, რომელიც აქტიურ პოლიტიკაში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აღარ გამოჩენილა. ვინ გახდება თბილისის მერი; ვინ არიან ქვეყნის მოღალატეები და ვიქნებით თუ არა ნატოს წევრები — ამ და სხვა საკითხებზე „ჯი-ეიჩ-ენი“ ირინა სარიშვილ-ჭანტურიას ესაუბრა.*

**— ქალბატონო ირინა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აქტიურ პოლიტიკაში აღარ გამოჩენილხართ. რას ნიშნავს ეს — ირინა სარიშვილი, მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკურ ორთაბრძოლებს განერიდა თუ პოლიტიკიდან საერთოდ წავიდა?**

— საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ ერთი მოტივით მივილე, მჭირდებოდა ტრიბუნა, რომლითაც კარგად ვისარგებლე და გამოჩნდა, თითქოს აქტიურად დავბრუნდი პოლიტიკაში. რეალურად ასე არ იყო. ვფიქრობ, ამჟამად პოლიტიკიდან ისინი მიდიან, ვისაც ჰგონიათ, რომ პოლიტიკაში არიან. იმას, რაც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოში ხდება, პოლიტიკასთან არაფერი საერთო არ აქვს. რომ მქონოდა შესაძლებლობა, ჩემს პოზიციას უფრო აქტიურად დავაფიქსირებდი, მობილიზებასაც მოვახდენდი საზოგადოების იმ ნაწილისას, რომელიც ამ პოზიციას იზიარებს. მინდა ვთქვა, რომ გამზიარებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, არა იმდენად ჩემი დამსახურების გამო, რამდენადაც იმის გამო, რომ სამწუხაროდ ყველაფერი რასაც ვამბობდი სიმართლე აღმოჩნდა. ამას სჭირდება შესაბამისი ფინანსური საშუალებები და საინფორმაციო საშუალებების თუ მხარდაჭერა არა, მათი მხრიდან იგნორირების ფაქტორის გამორიცხვა მაინც, რაც სამწუხაროდ ხდება. აქედან გამომდინარე, გარედან ასე ჩანს, რომ მე ვპასიურობ. სინამდვილეში კი უბრალოდ არავის მხარეს არ ვარ. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ რომელიმე ოპოზიციონერი, ფინანსურად ჩემზე უფრო ძლიერი, იქნებოდა ჩემთვის მისაღები. სამწუხაროდ, ასეთ ძალას აქტიურ პოლიტიკაში ვერ ვხედავ, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემი გააქტიურების დროც მოვა, თან ძალიან მალე.

იხ. 4 გვ.

ასე ბევრი ფიქრობს

# მხოლოდ საპატრიარქოს მტკიცე პოზიცია გადაგვარჩენს

**1992-2010 წლებში საქართველოში სამშობლოს ღალატი და სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვა ძალიან მოხშირდა, ხოლო ერის ადათ-წესებისა და ტრადიციების უარყოფა ჩვეულებრივ ამბად იქცა უმაღლეს ხელისუფლებაში მყოფი პირებისთვის.**

ფაქტობრივად მათ სრული უფლება ეძლევათ – მიაყენონ ქვეყანას მატერიალური და მორალური ზარალი, თუ ამით სარგებელს მოუტანენ პრეზიდენტს, მის უახლოეს გარემოცვას და საკუთარ თავს...

ამ მხრივ განსაკუთრებული იყო 2004-2010 წლები. შესრულდა უცხოეთის ორგანიზაციების მიერ ნაკარნახევი საქართველოს ეკონომიკის განადგურების ამოცანა. ჩადენილი დანაშაულებებისთვის კი გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის ნაცვლად პრეზიდენტი, როგორც წესი, მათ სახელმწიფო ჯილდოებს ურიგებს.

ის, რასაც ხელისუფლება უწოდებს სოციალურ-ეკონომიკურ გაჯანსაღებას და განვითარებას, ფაქტობრივად დაფუძნებულია გადამყიდველთა სპეკულაციურ ურთიერთობაზე.

მას შემდეგ, რაც საქართველოში დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მოსახლეობა საყოველთაო წესრიგის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის მოლოდინშია.

ისმის კითხვა – ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის მიმართ რატომ არ გამოხატავს თავის პოზიციას საპატრიარქო? ეკლესია ერს სიმშვიდისა და მოთმინებისკენ მოუწოდებს, რომელ მოთმინებაზეა ლაპარაკი, როდესაც მშობელი უძლურია სრულფასოვნად კვებოს თავისი შვილი, იზრუნოს მის ჯანმრთელობასა და განათლებაზე?

ჩვენი ღრმა რწმენით, ეკლესიას შეუძლია – მიიღოს მტკიცე გადაწყვეტილება და ხელისუფლებას ღიად მოსთხოვოს, სასწრაფოდ გამოასწოროს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პრიორიტეტი მიანიჭოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, დაამყაროს თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებრივი ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან (ეს არ ნიშნავს კაპიტულანტური პოლიტიკის გატარებასძ და ამით დაამკვიდროს ქვეყანაში სიმშვიდე, სოციალური განვითარება, ეკონომიკური კეთილდღეობა და პოლიტიკური სტაბილურობა.

არა მარტო განვლილმა ბოლო 20-მა წელიწადმა, არამედ საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ნათლად აჩვენა აუცილებლობა, რომ ქართველ ერს განადგურებისგან გადაარჩენს, ხოლო ეროვნულ უმცირესობათა კეთილდღეობის გარანტად დაუდგება საპატრიარქოს მტკიცე პოზიცია. სწორედ ასე შეძლებს იგი რეალობად აქციოს არა მარტო ქართველი ერის, არამედ მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის ერთიანობა და კეთილდღეობა.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

ვინ – ვის?

(მესამე გვერდიდან)

# „ალიანსი“ და ნოღაიდელი ამ ხელისუფლების ორ მხარეს წარმოადგენენ

**– გამომდინარე იქიდან, რომ 30 მაისის არჩევნებში არ მონაწილეობთ, მკითხველისთვის გვერდიდან დანახული თქვენი აზრი უფრო საინტერესო იქნება. როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს თბილისის მერის მოახლოებულ არჩევნებს და რა შეიცვლება ამის შემდეგ ქვეყანაში?**

– ამ არჩევნებში ამომრჩევლის დონეზედაც კი არ ვაპირებ მონაწილეობას, რადგან ჩემთვის ყველაფერი უკვე გარკვეულია. ოპოზიციას რომ მოეხერხებინა ერთმანეთთან კოორდინირება და საერთო კანდიდატით წარმდგარიყო, ავით თუ კარგით, თბილისში მას მოგების ძალიან დიდი შანსი ექნებოდა, წინა საპარლამენტო არჩევნების მონაცემებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, წინა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის რეიტინგი შედარებით დაეცა, თუმცა ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ხელისუფლება კარგად მუშაობს. ოპოზიციამ ნებსით თუ უნებლიეთ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მერი გახდეს უგულავა. მერი, მოგვწონს ჩვენ თუ არა, გახდება უგულავა - ამ კანდიდატებს შორის ერთადერთი, რომელმაც ზუსტად იცის რა უნდა – ის, რომ უნდა შეინარჩუნოს თბილისის მერობა. არც ერთი სხვა კანდიდატი, სამწუხაროდ, არც გეგმავს მოგებას და მას ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია.

**– საერთო კანდიდატი ახსენეთ... რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ის მიზეზი, რომელიც ოპოზიციის ნაწილმა დაასახელა, რომ ზურაბ ნოღაიდელი პუტინს ხვდება, „ედინაია როსიასთან“ ხელშეკრულებას აფორმებს და მასთან რაიმე სახის ალიანსში შესვლა სამშობლოს ღალატია... რეალურად ხომ თბილისის მერის არჩევნებში ამის გამო არ მოხდა ოპოზიციის ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანება...**

– ნოღაიდელი პირადად ჩემთვის თავისი მოღვაწეობიდან გამომდინარე არის მიუღებელი და აბსოლუტურად სულერთია, იგი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეგობარი იქნება, პუტინის თუ სხვისი... პოლიტიკოსებმა თუ დაინახეს, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი აქვს, მაშინ მათთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ერთმანეთის საპირისპირო ნაბიჯების გადადგმით ვერანაირ შედეგს ვერ მიიღებენ. უფრო მეტად მესმის იმ ძალების, რომლებიც ახლა არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ. ერთიცაა, საპარლამენტო მანდატებზე ოპოზიციის ძალიან დიდმა ნაწილმა, ვინც დღეს მერობის კანდიდატებს აყენებს და საკრებულოს არჩევნებში იღებს მონაწილეობას, გამარჯვების მიუხედავად უარი თქვეს. მათ განაცხადეს, რომ საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა და ისინი პარლამენტსა და მის მანდატებს არ ცნობენ. მე მათ მიმართ მიჩნდება კითხვა – რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?! გაკეთილშობილდა ეს ხელისუფლება, საარჩევნო გარემო გახდა უკეთესი, თუ რა მოხდა ისეთი, რომ უფრო მაღალ ტრიბუნაზე და დიდი უფლებამოსილების მანდატზე ამ ხალხმა უარი თქვა და დღეს საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ. რაც შეეხება ნოღაიდელს, ასეთი ტიპის პოლიტიკოსები ჩემთვის მიუღებლები არიან, რადგან პოლიტიკოსი, რომელიც მზად არის თავისი თავი და ქვეყანა ვინმეს მორჩილად გამოაცხადოს, იქნება ეს აშშ, რუსეთი თუ სხვა, ჩემში უპრინციპო ადამიანთან ასოცირდება. მის საქციელს ღალატს ვერ დავარქმევ. ეს არის იგივე, რასაც აკეთებს ჩვენი ხელისუფლება. ნოღაიდელი და ხელისუფლების ძმედებებში თვისობრივ სხვაობებს ვერ ვხედავ. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ხელისუფლებას პრინციპულად არც რუსეთისთვის უთქვამს უარი და არც შტატებისთვის.

**– ხელისუფლებამ და სხვა ოპოზიციური პარტიების ნაწილმა აქტიურად დაიწყეს საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში მოღალატეების ძებნა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ზურაბ ნოღაიდელის ფაქტორი გამოიკვეთა. როგორ ფიქრობთ, რა დროს ცდილობს ხელისუფლება ქვეყანაში მოღალატის ხატის შექმნას?**

– მოღალატის ძებნას იწყებს იმ დროს, როდესაც მას უნდა ყურადღების გადატანა სხვა საკითხებზე და თავისი უკეთურების ვიღაც მტერზე გადაბრალება. ამ დროს მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს მტერი მართლა არსებობს თუ არა. ის, რომ ნოღაიდელი გამოცხადებულია რუსეთის აგენტად, მიკვირს ამ ხელისუფლების, რადგან ეს უკანასკნელი მათი გუნდის აქტიური წევრი იყო და ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, რომელმაც ქონება ამ ხელისუფლების წყალობით დააგროვა. მათ რომ ნოღაიდელის განეიტრალება უნდოდეთ, ამის ძალიან ბევრი საშუალებაც აქვთ. ამასთან, ნოღაიდელი პიროვნულად არის ძალიან მშიშარა ადამიანი და დღეს მუშტებს რომ იქნევს, ამის საშუალებას არა მხოლოდ მის უკან მდგომი რუსული ძალები აძლევენ, არამედ საქართველოს ხელისუფლებაც. ეს ფაქტია. ნოღაიდელს ან საინფორმაციო საშუალებების მხრიდან იგნორირება სჭირდებოდა და მაშინ ეყვირა გიჟივით, ბევრი მხარდამჭერი მაინც არ ეყოლებოდა, ან ერთი თითის დაქნევა უნდა იმისგან, ვისაც ამის გაკეთება რეალურად შეუძლია და ხელისუფლება ამას გააკეთებს - არჩევნების შემდგომ ან მანამდეც. გააკეთებს იმ დროს, როცა თავისთვის სასარგებლოს ამოიღებს ამ ტიპის ოპოზიციისგან, ანუ ყველაფერს მას გადააბრალებს და შემდგომ უკვე შესაძლებელია ნოღაიდელმა ოქრუაშვილივით ყველა ბრალდებას ხელი მოაწეროს. დღეს მოვლენების განვითარების ორი შესაძლო ვარიანტი არსებობს: ვფიქრობ, 99 პროცენტი მაინც არის ის, რომ ეს არჩევნები „მხიარულად“ დამთავრდება, ანუ უგულავა გახდება მერი. ცოტა აჭრელდება საკრებულოები ყველგან, განსაკუთრებით თბილისში და ხელისუფლება გადაირჩენს თავს, მინიმუმ 2012 წლამდე (საპარლამენტო არჩევნებამდე), ან ერთი პროცენტი რჩება იმისი, რომ სააკაშვილი უკვე განწირულია და შესაძლოა გათამაშდეს სცენარი, ვითომ რუსულმა ძალებმა გააძევეს ის ქვეყნიდან და ნოღაიდელი ამ სარეზერვო ვარიანტად არის შემონახული, თუმცა ამ შემთხვევაშიც ნოღაიდელი აბსოლუტურად განწირულია იმიტომ, რომ ის ყველაზე შავ სამუშაოს ასრულებს. იმავე რუსულ სახელმწიფო წრეებში ჩვენ ვხედავთ, მასა და ბურჯანაძეს შორის რა განსახვავებებს აკეთებენ. ერთი სიტყვით, ნოღაიდელი ორივე შემთხვევაში ნიჩაბზე დევს.

**– როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთთან კარგი ურთიერთობა მაშინ, როცა მათ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვთ?**

– როგორც ეს აზერბაიჯანმა მოახერხა. აზერბაიჯანი ხომ სომხეთივით არ არის. ნამდვილად არ შეიძლება, რომ აზერბაიჯანი რუსეთის სატელიტ ქვეყნად განვიხილოთ. ძალიან ბევრი წლის წინ, როცა ნეიტრალიტეტზე ვსაუბრობდით, არ ვგულისხმობდით შვეიცარიის ნეიტრალიტეტს და რაღაც მიუღწეველს არ ვეპოტინებოდით. როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს იგივე ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, რომელსაც ოფიციალურად ნეიტრალიტეტი არ გამოუცხადებია, თუმცა ამ მიმართულებით დგამს ნაბიჯებს. არსებობს ამის კონტრარგუმენტიც, რომლის მიხედვითაც, აზერბაიჯანს აქვს ნავთობი და მისი გამოყენებით აბალანსებს ურთიერთობას როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან, მაგრამ თუ აზერბაიჯანს ნავთობი აქვს, ჩვენ გვაქვს ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ანუ გზა, რაც არანაკლები რესურსია, რადგან თეორიულად ნავთობი შესაძლოა ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ამოიწურება, მაგრამ გზა მყარი რესურსია. ეს რესურსი საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ გამოუყენებია.

**– თუმცა აზერბაიჯანმა რუსეთთან ამგვარი ურთიერთობების მიუხედავად მთიანი ყარაბახის პრობლემა მაინც ვერ გადაჭრა...**

– ყარაბახი ვერ დაიბრუნა, მაგრამ არც უფრო მეტად დაკარგა და არც ის მოხდა, რასაც საქართველოში ჰქონდა ადგილი 2008 წლის აგვისტოში. აზერბაიჯანმა ყარაბახის პრობლემა დააკონსერვა და ახლა ცდილობს სახალხო დიპლომატია გამოიყენოს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში არ ხდება.

**– ქალბატონო ირინა, თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს ნატოში გაწევრებას მხარს არ უჭერდა. იმ ფონზე, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინა MAP-ს იღებს, ამ მიმართულებით ჩვენი მომავალი კი კვლავ ბუნდოვანია, დავკარგეთ თუ არა ნატოში გაწევრების შანსი?**

– ნატოში გაწევრების შანსი არ დაგვიკარგავს, იმიტომ, რომ არც არასდროს გვქონია. ხელისუფლების მხრიდან ჩვენ მიმართ წარმოებდა აბსოლუტურად გამიზნული პოლიტიკა, რომ ჩვენ უნდა გვქონოდა ნატოსკენ მისწრაფება. ანუ ნატოში გაწევრების ხათრით ძალიან ბევრი რამე უნდა დაგვეთმო. რეალურად ეს მხოლოდ და მხოლოდ გულისხმობდა და დღესაც გულისხმობს შეერთებულ შტატებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა რაღაც დროის განმავლობაში, თუ სამუდამოდ არა, საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებზე სამხედრო ბაზების განლაგებას, ეს იქნებოდა მხოლოდ ამერიკული თუ ნატოს სამხედრო ბაზები. ცხადია, ეს არ არის ნატოში გაწევრება. მეტიც, ასეთი ხელშეკრულება ნატოში გაწევრების ყველაზე უარყოფით მხარეა...

ესაუბრა
**დავით ქოქოშვილი**

ინფორმაცია

## ვაშაძე ლიტვის პრეზიდენტს შეხვდა

**ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტესს შეხვდა.**

**შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები განიხილეს. გრიგოლ ვაშაძე ლიტველმა კოლეგა აუდრონიუს აჟუბალისმაც მიიღო.**

**შეხვედრის შემდეგ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის კომისიის დამფუძნებელი დოკუმენტი გააფორმეს, რომელიც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე იმუშავებს.**

## სამხრეთოსეთელი სტუდენტები და სოჭის ოლიმპიადა

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით ე.წ. სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო“უნივერსიტეტის სტუდენტები სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ. „უნივერსიტეტის“ პრორექტორის ირინა ცხოვრებოვას ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან სტუდენტები სოჭში უახლოეს მომავალში გაემგზავრებიან.**

**– ამ პროცესში რუსეთის სტუდენტების პროფკავშირების „ახალგაზრდული კავშირის“ თავმჯდომარე ალექსეი კაზაკი დაგვეხმარა. ამჟამად ჯგუფის შეგროვების პროცესი მიმდინარეობს. მსურველები ბევრნი არიან, – აცხადებს ცხოვრებოვა.**

**ამას გარდა, მისივე თქმით, ზაფხულის განმავლობაში სოჭში ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან სტუდენტების კიდევ ორი ჯგუფი გაემგზავრება.**

## მილიარდი მოიპარა და საქართველოში იმალებაო

**დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი აბესალომ გულორდავა, რომელსაც მოსკოვის საბიუჯეტო სახსრების ძარცვაში ედება ბრალი, საქართველოში იმალება.**

**ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი“ ავრცელებს.**

**როგორც მოსკოვის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა ვლადიმერ კოლოკოლცევმა „ტე-ვე ცენტრის“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, გულორდავამ მოსკოვის ბიუჯეტს 1 მილიარდი რუბლის ზარალი მიაყენა.**

ХО-ЕОВ-ЕНО

სანთელი

# იცოცხლებს მისი სახელიც, ლექსიც

ვხედავთ ქართველი ხალხის
ცრემლებს, გოდებას, მოთქმას.
ხალხის პოეტი იყო,
და ხალხის თვალწინ მოკვდა.

მოკვდა ქართული სულით,
გულით, სისხლით და ხორცით.
ქართული ლექსის კითხვით,
ქართული სიტყვის ლოცვით.

რადგან ნათელი უფლის
ადგა მის ნიჭს და სინდისს,
ბევრი პოეტი ქვეყნად
ინატრებს ასეთ სიკვდილს.

ყველა მოსული ქვეყნად
კვდება ადრე თუ გვიან.
დიდი მუხრანის სიკვდილს
დიდი სიცოცხლეც ჰქვია.

რადგან მამულში უდგას
თავის ძირი და ფესვი.
იცოცხლებს ქვეყნად მისი
სახელიცა და ლექსიც.

ნოდარ ჯალაღონია.
18 მაისი, 2010 წ.

# ამიერიდან

ამიერიდან მის ბაგეთაგან
ვერ იმჭექარებს ხმა
მუხრანული,
თან წაიყოლა ფიქრი —
ვით შეძლებს,
ფეხზე წამოდგეს მისი მამული.

ამიერიდან ივერის სივრცეს
გამოაფხიზლებს ექო მქუხარი
ფესვად სიცოცხლის, ძალად
სიცოცხლის
სიტყვა და ლექსი
დიდი მუხრანის.

გივი შეყილაძე.
18 მაისი, 2010

# რადგან პოეტი უკვდება ყველას

აქ უცნაური არაფერია,
ასე მგონია და ასე მჯერა,
პოეტის სიკვდილი ყველამ
უნდა ნახოს,
რადგან პოეტი უკვდება ყველას.

პოეტი სცენაზე დაეცეს უნდა,
ერთად უნდა შეწყდეს
სუნთქვა და ლექსი.
პოეტის სიკვდილი ასეთი უნდა,
პოეტის სიკვდილი ასეთი
მესმის!

პოეტი სცენაზე დაეცეს უნდა,
სცენაა პოეტის ბრძოლის ველი,
სხვანაირ წასვლას ამქვეყნიდან,
პოეტო, შენგან არავინ ელის.

ყოველთვის თქვენი გამოსვლა
ყველგან
აჟრიალებდა ყველას ტანში,
ხომ არ გეუცხოვათ,
ბატონო მუხრან,
არავინ რომ არ დაგიკრათ
ტაში!..

აქ უცნაური არაფერია,
ასე მგონია და ასე მჯერა,
პოეტის სიკვდილი ყველამ
უნდა ნახოს,
რადგან პოეტი უკვდება ყველას.

ნოდარ ჯალაღონია.

# დიდი ქართველი პოეტი, ქართული სიტყვის დიდოსტატი

წინაპართა დიდებულ სულს ნაზიარები, ხალხის გულისთქმასთან გაიგივებული ლექსების ავტორი, რუსთაველისა და მსოფლიოს მეშვიდე ფესტივალის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მას ხომ „ქართული პოეზიის რაინდის" წოდება მიანიჭეს. მის ლექსებზე თაობები იზრდება. მამული უყვარდა, გული სტკიოდა.

ქართველი ხალხი სიყვარულითა და ლექსებით გააცილებს დიდებულ პოეტს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ჭეშმარიტ პოეტს, ბატონ მუხრანს თავისი სტრიქონით — „რამდენი რამე დარჩა დაუწერელი", თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი,
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

# ვუსამძიმრებ ქართულ ენას!..

ქართულ ენას **მუხრან მაჭავარიანი** გარდაეცვალა... სწორედ ამიტომ, უპირველესად მას მინდა ვუთხრა სამძიმარი!.. დიახ, ქართულ ენას გარდაეცვალა უპირველესი ჭირისუფალი, უპირველესი ქომაგი, უპირველესი მეხოტბე, შემფასებელი და დამფასებელი...

ეს მან, მუხრანმა შეგვაგონა და ანდერძად დაგვიგდო:

**„ქართული მარტო ენაა?!**
**ქართული ქართველთ რწმენაა!**
**ღმერთია!**
**ბედისწერაა!**
**ზღვა როა! —**
**იმოდენაა!"**



ეს მან, ბატონმა მუხრანმა შეგვახსენა, რომ არ ხარ ქართველი, თუ „ვერ ახერხებ ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს"; რომ „ყოველმა ქართველმა, უწინარეს ყოვლისა, დედაენა უნდა იცოდეს! ენაშია ჩვენი ქართველობა! ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!"

სამძიმარი უნდა ვუთხრა ქართულ სიტყვას, მისი უერთგულესი პატრონისა და მზრუნველის, ჭირისუფლისა და მსახურის გარდაცვალების გამო. ეს მხოლოდ მას, მუხრან მაჭავარიანს, შეეძლო გულით ეგლოვა საბას ლექსიკონში შემორჩენილი „გარდაცვლილი" სიტყვები:

„მივჩერებივარ და... სიტყვაც მომჩერებია. ვუყურებ... და სიტყვაც მიყურებს. მიყურებს, როგორც სურათი, — ოდესღაც ცოცხალი კაცისა..."

და „ქართული სიტყვის პაპის" — სულხან-საბა ორბელიანის — ნათელ სულს მინდა, მივუსამძიმრო მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალება, პოეტისა, რომლის პოეზიაშიც იპოვა საუკუნო სავანე ქართულ მიწას მონატრებულმა „სატანძიე საბამ"...

ვუსამძიმრებ ქართულ ენას მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებას!..

გიორგი გოგოლაშვილი

# ეროვნული გლოვა

უდრეკსა და უშიშარ მგოსანში მტკიცედ იდო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მთავარი საწყისების გადამრჩენელი მარცვალი. ბატონი მუხრანი თავიდანვე ეროვნული გმირი და ქვეყნის გადარჩენის იმედი იყო ყოველი ჩვენგანისთვის, ხოლო მგოსნის თავისთავადი ღრმა ინდივიდუალური და წმიდა ქართული პოეზია სულიერი მკურნალი მალამო გახლდათ ერის.

ოთხმოცდაერთი წლის უზარმაზარი მგოსანი 2010 წლის 17 მაისს, რაინდულად გამოეცხადა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში გამართულ მეგობარი მგოსნის საიუბილეო საღამოს. მაღალი ელიტითა და ძვირფასი საზოგადოებით სავსე დარბაზში ჩვეული კეთილშობილური და ოდნავ გაბზარული ხმით ულოცავდა და ხოტბას ასხამდა ღირსეულ იუბილარს. ამ დროს ერის ტრაგედიად, დიდი მეტეორის კოსმოსური წვის პროცესი დამთავრებულიყო და ნაღვლიან სცენაზე მგოსნის მეტეორული ყოვლისმანათობელი შუქი წამებში დაიფერფლა და გაუბედურებული ხალხის წინაშე ჩაქრა...

ქვეყნის კიდიდან კიდემდე უმძიმესი სევდის და გლოვის ზარები რეკავდა და დიდი შავი ღამეული ფრინველი გაშმაგებით დაწრიალებდა გაცრეცილ მუქ ლურჯად დაზაფრულ გარემოს, მაგრამ უმთავრეს ნათელსა და ამაღლებულს სიკვდილიც ვერ ჯაბნიდა...

დაე, დიდი მგოსნის გენიალური პოეზიის დიდების სხივი მარად ანათებდეს საქართველოს სადიდებელ-უკვდავებად.

რეზო ადამია,
მხატვარი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

# ვიდრე ქართველობა იარსებებს

ქართულმა საზოგადოებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა, 81 წლისა გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი **მუხრან მაჭავარიანი**.

მუხრან მაჭავარიანი XX საუკუნის ისეთ დიდ პოეტებთან და მწერლებთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრებთან ერთად, როგორებიც იყვნენ: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვები, გამორჩეული როლი შეასრულა ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში, ქართული ენის გამომსახველობით საშუალებათა მოძიებასა და ახალ პოეტურ ფორმათა შექმნაში.

მუხრან მაჭავარიანი დაიბადა 1929 წლის 12 აპრილს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მუხრან მაჭავარიანი 1949 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს.

შრომითი საქმიანობა მუხრან მაჭავარიანმა ჟურნალ „ცისკრის" განყოფილების გამგედ დაიწყო (1957-1963), იყო ჟურნალ „პიონერის" მთავარი რედაქტორი (1963-1964), კინოსტუდიის სასცენარო კოლეგიის წევრი (1964-1967), ჟურნალ „დილას" და ალმანახ „საუნჯის" მთავარი რედაქტორი (1967-1988).

მუხრან მაჭავარიანი 1954-1992 წწ. არჩეულ იქნა მწერალთა კავშირის წევრად, ხოლო 1988-1992 წწ. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად.

სიჭაბუკის ასაკიდან მან არ ისურვა გაკვალული და დამკვიდრებული გზით სიარული. მისმა უჩვეულოდ ორიგინალური მსოფლმხედველობით აღბეჭდილმა ადრინდელმა ლექსებმა (მათ შორის დღეს კლასიკად ქცეულმა „საბამ", „ვახტანგ მეფის ნანადირევმა" და სხვ.) გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ქართულ საზოგადოებაზე. თვალშისაცემმა თავისთავადობამ, ძლიერმა, თვითმყოფადმა ხმამ, ურყევმა ხასიათმა და წრფელმა უშუალობამ იმთავითვე მოიგო ქართველი მკითხველის გული, რომელიც მოუთმენლად მოელოდა და დიდი გულისყურით უსმენდა პოეტის ყოველ სიტყვას.

სულ ახლახან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ასე მიმართა მუხრანს: „თქვენი გამოსვლის დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები. მან ასე უწოდა თავის ორ მოწაფეს: „ძენო ქუხილისანნო!" თქვენ შეგშვენით ეს — ძეო ქუხილისაო! მართლაც, თქვენ გამოიარეთ საოცარი გზა და დგახართ მწვერვალზე, საიდანაც ელაპარაკებით ჩვენს ხალხს. თქვენი პოეზია თქვენი გულიდან კი არა, ერის გულიდან ამოსულია და ამისათვის მადლობას გწირავთ".

მუხრან მაჭავარიანის მთელი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითაა შთაგონებული, შემოქმედებითი კრედოც, პირველ ყოვლისა, პატრიოტიზმზეა დაფუძნებული. პათოსითა და სიმახვილით გამოირჩევა მისი მრავალი ლექსი, რომლებშიც ხაზგასმულია შემოქმედის, როგორც მოქალაქის, პოზიცია. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოეტის შემოქმედებაში ფილოსოფიურ ლირიკას, რომელიც უმეტესწილად მცირე ლექსებით არის წარმოდგენილი. არც სოფლის თემაა დავიწყებული მის პოეზიაში — მშობლიური პეიზაჟები, წელიწადის დრონი და ყოფაცხოვრებითი სურათები.

მუხრან მაჭავარიანმა მრავალი სიახლე მოიტანა ქართულ პოეზიაში, როგორც ფორმების მხრივ, ისე თემატიკური და პრობლემური თვალსაზრისითაც. მან, უწინარეს ყოვლისა, დაარღვია მხატვრული სტერეოტიპები, შეგნებულად უკუაგდო მზამზარეული პოეტური სახეები და გამოთქმები, დაამკვიდრა არაორდინარული გამომსახველობითი საშუალებები. პოეტის მხატვრული სიტყვით გამოიძერწა ეპოქის მრავალწახნაგოვანი და ფილოსოფიურად ღრმა სახე.

მუხრან მაჭავარიანის პოეზია ცნობილი და მოწონებულია უცხო ქვეყნებშიც. მისი პოეტური კრებულები თარგმნილია უკრაინულ, რუსულ, სომხურ, ჩეხურ, პოლონურ, ბულგარულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პოეტის ლექსიკოლოგიური კვლევები, რომლებიც ხასიათდება მწყობრი სისტემატიზაციით და თანამიმდევრულობით, სემანტიკური ძიების სიღრმით, ლიტერატურული და ლექსიკოლოგრაფიული წყაროების საგანგებო სიუხვით, უცხოენოვანი პარალელების ფართო წარმოჩენით და, რაც მთავარია, ქართული სიტყვის წიაღის წვდომითა და ღრმა ცოდნით.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არაერთგზის აღინიშნა მთავრობის ჯილდოებითა და საპატიო წოდებებით. 1958 წელს პოეტი ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გახდა, ხოლო 1987 წელს მისი შემოქმედებითი მიღწევები რუსთაველის პრემიით აღინიშნა, მუხრან მაჭავარიანი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის (1966) და შრომის წითელი დროშის (1979) ორდენებით. 1989 წელს ბულგარეთის მთავრობამ ბატონი მუხრანი კირილესა და მეთოდეს ორდენით დააჯილდოვა.

ბატონი მუხრანი 1989-1991 წწ. არჩეულ იქნა საკავშირო უმაღლესი საბჭოს, ხოლო 1999-2002 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრად.

ქართველმა ერმა და სრულიად საქართველომ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, მაგრამ დიდი პოეტის მუხრან მაჭავარიანის პატრიოტულ და მამულიშვილურ საქმეს მისი ლექსები გააგრძელებენ, ვიდრე იარსებებს ქართველობა და ქართული ენა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის,
ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

კერძო აზრი

# ქართველი და სომეხი სხვადასხვა ეთნოსია

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (№90.15.V.2010წ.) გამოქვეყნდა ბატონ შოთა ზოიძის წერილი — „დნეპრდალეულმა პრეზიდენტმა რუსთაველი ჩაგვაშხამა".**

როგორც ბატონი შოთა წერს, ბათუმში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნისას, თურმე პრეზიდენტმა, „однозначно" (ერთმნიშვნელოვანდ) განაცხადა, რომ „ქართველობა სომხურ ეთნოსს ნიშნავს".

ასეთი მოსაზრება, მართლაც ჩააშხამებდა ბათუმელებს სადღესასწაულო განწყობას, მით უმეტეს, აქ აშკარაა ქართველების ერთგვარი დამცირება, მაგრამ მას რომ ეთქვა — „однозначно" სომხობა ქართულ ეთნოსს ნიშნავსო" — არც მას ექნებოდა გამართლება, რადგანაც ქართველები და სომხები სრულიად სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან.

მართალია, პრეზიდენტს ეს უნდა სცოდნოდა, მაგრამ... მან, სამწუხაროდ, სხვათა შორის, მროველისეული „ქართლის ცხოვრება", რომელიც საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროა, „однозначно" გვეუბნება, რომ არათუ ქართველები და სომხები, არამედ ძვ. წელთაღრიცხვის ეპოქაში კავკასიაში მცხოვრები ხალხები, ერთი წინაპრის — თარგამოსის შთამომავლები ყოფილან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ერთი ეთნოსის ხალხებია.

ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ ამაზე ლეკები, სომხები და ა.შ., მაგრამ ჩვენთან ეს არავის უარუყვია, მიუხედავად იმისა, რომ ეს სრულიად გამორცხულია.

სრულიად გაუმართლებელია, როდესაც ამას ამბობს პრეზიდენტი, მაგრამ გაცილებით ამაზრზენია, რასაც „однозначно" გვეუბნება „ქართლის ცხოვრება" — თარგამოსმა თავის შვილებიდან (ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი და ეგროსიძ გამორჩეულ უფროს შვილს, სომხების ეთნარქს, ჰაოსს მისცა თავისი ქვეყნის ნახევარი, ხოლო დანარჩენ შვიდ შვილს - მეორე ნახევარი.

თურმე ჰაოსს ემორჩილებოდნენ მისი ძმები და მათი ენაც სომხური ყოფილა. შემდეგ: დაახლ. ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში თითქოს ქართლში ცხოვრობდნენ ქართლელები, სომხები, ხაზარები, ბუნთურქები, რომელთა ენაც სომხური ყოფილა, ხოლო მათგან ქართლელები ყოფილან უბოროტესი სჯულის პატრონები, ისინი არას დაგიდევდათ სიძვას, კაციჭამიები იყვნენ — მკვდარს ჭამდნენ.

და ეს მაშინ, როდესაც ყოველივე ეს არავითარი წყაროებით არ დასტურდება, მით უმეტეს, ამ ეპოქაში სომხები საერთოდ არ ცხოვრობდნენ კავკასიის რეგიონში.

არა აქვს მნიშვნელობა ვისი დაწერილია „ქართლის ცხოვრების" ეს მონაკვეთი, მაგრამ რა უნდა წაეკითხათ ქართველ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს ამაზე ამაზრზენი და შეურაცხმყოფელი ქართველი კაცისთვის, რომ ეთქვათ კომპეტენტური სიტყვა და ამ უტიფარი სიყალბისთვის ბოლო მოეღოთ.

სამწუხაროდ, სომეხი მეცნიერებისგან განხვავებით, ეტყობა მათ არ აღმოაჩნდათ ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, იმ დონეზე, რომ ეს გაეკეთებინათ.

ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ შექმნა კომისია „ქართლის ცხოვრების სისტემაში" მოსაყვანად, მაგრამ არავინ არ იცის ამ კომისიამ რა მუშაობა ჩაატარა, მით უმეტეს „ქართლის ცხოვრებას", განსაკუთრებით მის პირველ ნაწილს, არაფერი ეტყობა.

როგორც ირკვევა, ქართლის ცხოვრების პირველი ნაწილის მიმართ ივანე ჯავახიშვილს დიდი ნდობა არ ჰქონია. სხვა თუ არაფერი, ის მიიჩნევდა, რომ ფარნავაზზე მროველის ცნობებს ისტორიისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, უფრო მეტი, ცნობებს ფარნავაზის შესახებ, მემატიანის ბავშვურ გულუბრყვილობად მიიჩნევდა.

ყოველ შემთხვევაში, ქართველი მეცნიერების მიდგომას ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისადმი არავითარი გამართლება არა აქვს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გრიფით გამოვიდა „ქართლის ცხოვრება". მის გამოცემაში მონაწილეობა მიუღიათ საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულ კომიტეტს, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას. მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი და სარედაქციო კოლეგიაში შედის თითქმის ყველა ცნობილი მეცნიერი.

მართლაც, შესანიშნავი გამოცემაა, ღირებულებაც 100 ლარამდეა.

იმედი მომეცა, რომ საბოლოოდ დადგინდებოდა ის სიყალბეები, რომლებიც ზემოთ აღვნიშნე, ითქმებოდა კომპეტენტური სიტყვა, რის საფუძველსაც მაძლევდა წიგნის ავტორთა მაღალი სამეცნიერო დონე.

სამწუხაროდ, რაოდენ გაოგნებული დავრჩი, როდესაც აღმოჩნდა, რომ ეს იყო მხოლოდ მაღალ დონეზე გამოცემული მროველისეული „ქართლის ცხოვრება".

ჩემთვის გაურკვეველი დარჩა, რა საჭირო იყო წიგნის გამოსაცემად ისტორიკოსთა „არმია", მაშინ, როდესაც ამისთვის სრულიად საკმარისი იყო 2-3 საშუალო დონის ისტორიკოსი და ნორმალური მხატვარი.

არადა, როდესაც ამ დონის მეცნიერები გამოსცემენ წიგნს, თუნდაც „ქართლის ცხოვრებას", ვფიქრობ ვალდებული არიან გააცნონ საზოგადოებას, თუ რა ცვლილებები შეიტანა წიგნში ჩამოთვლილ ისტორიულ მოვლენებში ისტორიულმა ძიებებმა, ახლადაღმოჩენილმა ისტორიულმა წყაროებმა. წარმომიდგენია, როგორ მოიქცეოდნენ სომეხი მეცნიერები, სომხეთის ისტორიაში ასეთი ამაზრზენი ფაქტები რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ ყველაფერს გააკეთებდნენ მოვლენების ეროვნული პოზიციიდან სწორად წარმოსაჩენად.

ეტყობა, ბატონ შოთა ზოიძეს წაკითხული არა აქვს „ქართლის ცხოვრება", თორემ ისე არ შეძრავდა პრეზიდენტის ნათქვამი, ისეთ ამაზრზენ ფაქტებს წააწყდებოდა „ქართლის ცხოვრების" პირველ ნაწილში.

სხვათა შორის, შემხვდა ნაცნობი სომეხი, რომელსაც ნაყიდი ჰქონდა ეს წიგნი და ნიშნისმოგებით მითხრა — „ბატონო ანზორ! — თქვენ წიგნში შეტანილ რუკაზე სომხეთი საერთოდ არაა ნაჩვენები კავკასიის რეგიონში. ასეთ მაღალ დონეზე „ქართლის ცხოვრების" გამოცემამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მასში შეტანილი ისტორიული მოვლენების სინამდვილე".

როდესაც არ დავეთანხმე, მიმანიშნა, უხერხული იქნებოდა ამდენად მაღალი დონის მეცნიერებთან დაპირისპირებაო.

მართალც, 2007 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი — „კოლხები ქართველების წინაპრები", სადაც ერთმნიშვნელოვნად განვაცხადე, რომ ქართველ ხალხში ერთი ეთნოსის დომინანტია და შევიტანე ჰეროდოტეს მიხედვით შედგენილი ძველი წელთაღრიცხვის VI-V-საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის რუკა (იხ. რუკა №1ძ.

ამ ეპოქაში ჩვენს ქვეყანას ერქვა ეგრისის სამეფო, მაგრამ ბერძნები მას ისევ კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და ასე იყო მუდამ, სანამ ეგრისის სამეფო არსებობდა.

ძვ.წ.ა. VI-V-საუკუნეებში ეგრისის (კოლხეთისძ სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ კოლხები (მეგრელებიძ და გავრცელებული იყო კოლხური (იგივე მეგრულიძ ენა.

ამ ეპოქაში კავკასიის რეგიონში სომხეთის სამეფო არ არსებობდა, რაც „однозначно" მეტყველებს იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი ცნობები სომხებზე სრული სიყალბეა.

როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის (ეგრისისძ სამეფო დაიშალა, მის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოჩინდნენ იბერიის (ქართლისძ და ალბანეთის სამეფოები.

ბუნებრივია, ამ ეპოქაში იბერიის (ქართლისძ და ალბანეთის სამეფოებში სახელწიფო ენა იქნებოდა კოლხური (იგივე მეგრულიძ ენა და იბერიაში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა იბერი, ხოლო ალბანეთში მცხოვრებს — ალბანი.

2009 წელს გამოქვეყნდა ჩემი ბროშურა „ჩვენი ქვეყნის სახელები სხვადასხვა ეპოქაში", სადაც შევიტანე ამ ეპოქის ჩვენი ქვეყნის რუკა (იხ. რუკა №2ძ.

როგორც ცნობილია, ალბანეთის სამეფო ადრიდანვე მოწყდა ქართულ სინამდვილეს, ის IX-X-საუკუნეებში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და ალბანების სრული ასიმილირება მოახდინეს.

მართალია, ქართველი მეცნიერები ალბანებს ქართველების მონათესავე ხალხად მიიჩნევენ, მაგრამ ზუსტად ვერაფერს ამბობენ.

ამჟამად აღმოჩენილია წყარო, რომლის მსგავსიც იშვიათია — ეს წყაროა „ბიზანტიური ენციკლოპედია", სადაც, „однозначно" წერია — „ალბანები მეგრელები არიან" — ეს მეტყველებს იმაზე, რომ IX საუკუნეშიც კი ალბანური ენა იგივე მეგრული ენა იყო, რამაც ათქმევინა ბიზანტიელ სწავლულს ალბანები მეგრელები არიანო.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის ძ.წ.ა. VI-V-საუკუნეების რუკა სრულიად რეალურია.

ყოველ შემთხვევაში, არავითარი გამართლება არა აქვს, რომ ისეთი ძლიერი ისტორიული სკოლის მქონე ქვეყანას, როგორიც საქართველოა, დღემდე არა აქვს სრულყოფილი, ობიექტური ისტორია.

ანზორ შონია,
ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი




— ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის (ეგრისის) სამეფო დაიშალა, ეგრისის, იბერიის და ალბანეთის სამეფოებად.
— ამ ეპოქიდან იბერიაში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა იბერი და ალბანეთში მცხვრებს — ალბანი.
— იბერიის და ალბანეთის სამეფოებში სახელმწიფო ენა იყო მეგრული.
— IX საუკუნის „ბიზანტიურ ენციკლოპედიაში" წერია:
— „ალბანები მეგრელები არიან" — ე. ი. IX — საუკუნეშიც ალბანური ენა იგივე მეგრული ენა იყო.
— V საუკუნიდან ალბანეთის სამეფოს დასავლეთი რეგიონი, ჰერეთი, იბერიის სამეფოში იყო.




— ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში კიმერიელების შემოსევის შედეგად კოლხეთის სამეფო განადგურდა.
— ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა ეგრისის სამეფო, რომელსაც ბერძნები ისევ კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ.
— ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში კავკასიის რეგიონში სომხეთის სამეფო არ არსებობდა.
— ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეებში შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ცხოვრობდნენ მეგრული ტერიტორიული ჯგუფები და გავრცელებული იყო მეგრული ენა.

*P. S. სრულიად გასაგებია, რომ ბატონი შოთა ზოიძე შეძრა პრეზიდენტის ნათქვამმა, მაგრამ საინტერესოა მისი რეაქცია იმაზე, რაც „ქართლის ცხოვრებაში" წერია.*

*ასევე საინტერესოა მისი პოზიცია ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანაზე და აჭარის ოპოზიციის წევრ მურმან დუმბაძის აღშფოთებაზე, რომელსაც ვერ აუტანია, რომ დღეს „არწივის" ნაცვლად „მედეა" გადმოჰყურებს ბათუმს, მაშინ როდესაც, მისი აზრით, თურმე „მედეას" არავითარი კავშირი არ ჰქონია აჭარასთან.*

*ამ საკითხზე იყო ჩემი წერილი გაზეთ „დიოსკურიაში", მაგრამ, ეტყობა, ბატონ მურმანამდე მან ვერ მიაღწია.*

*არა და აჭარა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში შემავალ ლაზეთ-ჭანეთის საერისთაოს რიგითი რეგიონი იყო და თითქმის XV-XVI-საუკუნემდე აჭარა ადმინისტრაციული ერთეული არ ყოფილა.*

*ამდენად, მედეა ისევე ეკუთვნის აჭარას, როგორც სამეგრელოს და სხვა ქართულ კუთხეებს.*

*ა. შ.*

ბიუჯეტის მონიტორინგი

# ჩვენ და „მომავლის“ ვალი...



**სახელმწიფო საგარეო ვალი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე, ბოლო სამი წლის განმავლობაში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, რამაც ახლო მომავალში საქართველო შესაძლოა უმძიმესი რეალიების წინაშე დააყენოს. ამ საკითხზე ჩვენი გაზეთი ადრეც წერდა, მაგრამ რაკი ახლახან „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგის“ თაობაზე ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის პროექტის განხილვისას იგი საფუძვლიანად განიხილეს, ჩვენც გადავწყვიტეთ, კვლავ დავბრუნებოდით მას.**

„საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი არის უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების — დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული თანხებით“. — ესაა ამონარიდი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომელიც სახელმწიფო ვალის ოფიციალურ განმარტებას ეხება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საგარეო ვალის ბოლო წლების ზრდამდე იყო პერიოდი, კერძოდ, 2005-2006 წ.წ., როცა ეს ვალი საგრძნობი ტემპით (შესაბამისად, 15,6 და 15,8 პროცენტით) კლებულობდა, რაც ორი მიზეზით იყო განპირობებული: **პირველი — ესაა საბიუჯეტო შემოსავლის ზრდა, მეორე — სავალუტო კურსის ცვლილება.** რაც შეეხება ბოლო პერიოდს, 2007 წელს საგარეო ვალი გაიზარდა 2,1 პროცენტით, 2008 წელს — 46,2 პროცენტით, 2009 წელს — 34,5 პროცენტით, ხოლო —2010 წლის განვლილ პერიოდში — 19,1 პროცენტით. **საგარეო ვალის მთავარი წყაროებია როგორც მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი კრედიტორებისგან აღებული კრედიტები და სახელმწიფო გარანტით აღებული კრედიტები.** საქართველოს მრავალმხრივ კრედიტორთა შორის ყველაზე მეტი **მსოფლიო ბანკის (2,407 მილიონი ლარი) და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (2,126 მილიონი ლარი) გვმართებს.** მათ გარდა ქვეყნის ამ კატეგორიის მსხვილ მევალეთა შორის არიან **ევროგაერთიანება (60,2 მილიონი ლარი), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (40,5 მილიონი ლარი), აზიის განვითარების ბანკი (482,6 მილიონი ლარი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (47 მილიონი ლარი).**

საგარეო დავალიანების მონაცემთა მარტივი შედარებით ჩანს, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე შემცირდა დავალიანება ევროგაერთიანების მიმართ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო და აზიის განვითარების ბანკების მიმართ იგი გაიზარდა. ცალკეა აღსანიშნავი ისიც, რომ **საქართველოს საგარეო ვალის 73 პროცენტზე მეტი სწორედ მრავალმხრივ კრედიტორებზე მოდის. წლეულს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია საგარეო ვალდებულებების მატება მილიარდ 213,5 მილიონი ლარით, ხოლო ვალდებულების დაფარვა — მილიარდ 315,4 მილიონი ლარით. მთლიანად კი საქართველოს სახელმწიფო საგარეო, ანუ „მომავლის“ ვალის ოდენობა 2010 წლის მონაცემებით 7 მილიარდ 61,2 მილიონი ლარია.**

რაც შეეხება ორმხრივ კრედიტორებს, ჩვენი ყველაზე მსხვილი მევალეა **გერმანია (420,2 მილიონი ლარი),** რომლის გარდა საქართველოს კრედიტები აქვს მიღებული **ავსტრიისგან, აზერბაიჯანისგან, თურქმენეთისგან, თურქეთისგან, ირანისგან, რუსეთისგან, სომხეთისგან, უზბეკეთისგან, უკრაინისგან, ყაზახეთისგან, ჩინეთისგან, იაპონიისგან, კუვეითისგან, ნიდერლანდისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისგან.**

გარდა ამისა, სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების მოცულობა ბოლო წლებში შემცირდა და სადღეისოდ **6,5 მილიონ ლარს** შეადგენს.

როცა საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ არსებული ვალდებულებების შემდეგ **სიდიდით მეორეა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (ევროობლიგაციების) გამოშვებით არსებული ვალდებულება, რომელიც წლევანდელი ბიუჯეტის მონაცემებით 850 მილიონ ლარს შეადგენს,** ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ხუთწლიანი ვადის მქონე ევროობლიგაციების გამოშვების პერიოდში, რომელთა დაფარვა 2013 წლისთვის უნდა მოხდეს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს დადებითი საოპერაციო სალდო (შემოსავალ-გასავლის თანაფარდობაძ ჰქონდა, ამდენად დამატებითი ვალის „წამოკიდება“, სხვა თუ არაფერი, აშკარად არ იყო გონივრული ნაბიჯი.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის საკითხთან დაკავშირებით ერთობ საგულისხმოა მისი მომსახურების გრძელვადიანი პროგნოზის განხილვა. ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ვალის ძირითადი თანხის გასტუმრების მხრივ საკმაოდ მძიმე იქნება 2013 წელი, როცა საჭირო იქნება 771,76 მილიონი დოლარის (მილიარდ 293 მილიონი ლარის) გასტუმრება, რაც შარშანდელი ბიუჯეტის შემოსავლის 25,2 პროცენტს შეადგენს.** ვარაუდობენ, რომ ეს ვალდებულებები სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრებით დაიფარება, ანუ ერთ ვალს მთავრობა მეორის ხარჯზე გაისტუმრებს.

შედარებით შორეულ პერსპექტივაში **საკმაოდ დიდი თანხები იქნება დასაფარი 2019-25 წლებში, ხოლო 2013-13 წლებში კი ევროობლიგაციების მომსახურებას სახელმწიფო ყოველწლიურად მთლიანი თანხის 7,5 პროცენტს გადაიხდის, რაც, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპით პირობებში საკმაოდ მაღალი მონაკვეთია. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წლეულს ვალზე პროცენტების გადასახდელი თანხაა 71,34 მილიონი დოლარი, 2011 წელს — 70,6 მილიონი დოლარი, 2012 წელს — 68,16 მილიონი დოლარი, 2013 წელს — 45,72 მილიონი დოლარი.**

ეკონომისტების აზრით, როცა ქვეყნის საგარეო ვალის მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის 50 პროცენტია, ეს ეკონომიკურ ზრდას აფერხებს, ხოლო რაც შეეხება ექსპორტს, ანალოგიური კრიტიკული ზღვარი 100-105 პროცენტზე გადის. წლევანდელი შედეგების არასახარბიელო პროგნოზთა შორის აღსანიშნავია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, 2010 წელს საგარეო ვალი გაიზრდება, ხოლო ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

**ოთარ ტურაბელიძე**

სარედაქციო ფოსტიდან

# ვიხსენებ, რაც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი

**ამა წლის 7 მაისს ტელევიზიით მოვისმინე გადაცემა გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის შესახებ. მე, რა თქმა უნდა, მის მწერლურ შემოქმედებას არ შევეხები. მაგრამ მინდა გიამბოთ სამამულო ომის დროინდელი ერთი ამბავი.**

1945 წლის იანვარში ჩვენი ნაწილი ვარშავის მისადგომებთან იდგა. ჩემი ათეულით სოლივით ვიყავი შეჭრილი მტრის სიღრმეში. ატყდა ფაშისტთა არტილერიის კონონადა, სროლა დამთავრდა თუ არა, გერმანელებმა ჩართეს რადიორუპორები, ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე. უცებ გაისმა სიმღერა „სულიკო“. ეს ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, მით უფრო, რომ ერთადერთი ქართველი ვიყავი მთელ ნაწილში. სიმღერის შემდეგ გაისმა „ახტუნგ-ახტუნგ“, მერე ქართულად, „ყურადღება — ყურადღება! მოგმართავთ გრიგოლ რობაქიძე“. მწერალი გვიხსნიდა, თუ როგორ აპირებს ჰიტლერი ჩვენთან — ქართველებთან მეგობრობას, გვთავაზობდა „გადმოდით ჩვენს მხარეზეო“, ბოლოს თქვა: გადმოსვლისას „კაპიტოლისა“ და კოვზის წამოღება არ დაგავიწყდეთო“. ჩვენ მტრის პროპაგანდის მოსმენის უფლება არ გვქონდა და სროლებით ვუპასუხეთ.

აქვე ვიტყვი, ფრონტზე სიკვდილის ისე არ მეშინოდა, როგორც ტყვედ ჩავარდნის, იმიტომ, რომ გვარდიელი ვიყავი, თანაც კომუნისტი, ცოცხალს არ დამტოვებდნენ. თუ ტყვედ ჩავარდნა არ ამცდებოდა, ჯიბეში („პისტონჩიკში“ძ სალდათის მედალიონთან ერთად მედო ერთი ვაზნა თავის მოსაკლავად, რომელიც 1945 წლის 8-9 მაისს ღამეს, კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდეგ ჰაერში გავისროლე.

ამ წერილის წერის დროს შემომიტანეს თქვენი გაზეთის ბოლო ნომერი, რომელმაც ახალი სასიამოვნო ამბავი მაუწყა, ანაზრების თაობაზე. აბა როგორ არ უნდა მიყვარდეს ეს გაზეთი ყველაზე მეტად!

ჩვენი ვეტერანების სახელით ულრმესი მადლობა მინდა მოგახსენოთ, გაზეთში ალექსანდრ ელისეევის წიგნის „1937 წლის გამოცანის ამოხსნის“ გამოქვეყნებისთვის. ვნატრობ მის წიგნად გამოცემას.

ვთვლით და ასეც არის, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე საინტერესო, სამართლიანი გაზეთია, ჩვენ გვჯერა თქვენი.

სამწუხაროა, რომ ეს გაზეთი ჩვენთან, რაიონში ძალზე ცოტას აქვს გამოწერილი.

**გიორგი ბლუაშვილი,**
**ხარაგაულის ვეტერანთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე**

13.05.2010.


# განცხადება აუქციონის შესახებ

**2009 წლის 28 მაისს, 09.30 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება მერაბ ახალბედაშვილის (პ/ნ 01019009244) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ნივთები:

• მერაბ ახალბედაშვილის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, მიწისქვეშა კომპლექსი, ფართი: 715.94 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.15.04.002.001.01.503.

• მერაბ ახალბედაშვილის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, მიწისქვეშა კომპლექსი, მიწისქვედა 2 სართული, ფართი: 194.20 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.15.04.002.001.01.543.

• მერაბ ახალბედაშვილის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, მიწისქვეშა კომპლექსი, სართული 1, ფართი: 315.05 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.15.04.002.001.01.544.

უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 1,191,366.89 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამას სამოცდაექვსი აშშ დოლარი და 89 ცენტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი”.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

**საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ მერაბ ახალბედაშვილს, ეთერ ახალბედაშვილს, შპს „მერკურსა“ და შპს „კენგურუს“**

ეცნობოს მერაბ ახალბედაშვილს, ეთერ ახალბედაშვილს, შპს „მერკურსა“ და შპს „კენგურუს“, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ოფიციალურად უსახლკარო და უცხენო აღმოჩნდა, და მას გადაყენებასაც უპირებენ

**სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაქვეყნა თავისი ოფიციალური შემოსავლები, რომლებიც მეტად მწირი აღმოჩნდა მისი პოსტისთვის. თუ სააკაშვილის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციას დავუჯერებთ, შარშან სახელმწიფოს ხელმძღვანელმა გამოიმუშავა 30 ათას დოლარზე ოდნავ მეტი და ანგარიშებზე დააგროვა თითქმის იმდენივე. საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის ლიტერატორული საქმიანობა აღმოჩნდა კიდევ უფრო ნაკლებადშემოსავლიანი, თუმცა ოპოზიცია ამტკიცებს, რომ სააკაშვილების ოჯახის ფინანსური მდგომარეობა სინამდვილეში გაცილებით უფრო კეთილდღეურია**

მიხეილ სააკაშვილმა შარშან შეძლო გამოემუშავა სულ რაღაც დაახლოებით 33 ათასი დოლარი, მისი საერთო ქონება კი მიუახლოვდა მხოლოდ 70 ათას დოლარს.

ასეთი მონაცემებია საქართველოს პრეზიდენტის დეკლარაციაში, რომელიც გამოაქვეყნა სამშაბათს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურომ. თუ სააკაშვილის მიერ წარმოდგენილ საფინანსო ანგარიშს დავუჯერებთ, სახელმწიფოს ხელმძღვანელს არ გააჩნია არც საკუთარი საცხოვრებელი ბინა, არც მანქანები.

კიდევ უფრო ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსი, რომლის სამწერლო მოღვაწეობამაც მას 2009 წელს ბანკში უკვე არსებულ ანგარიშზე, რაც 85 ათას დოლარს უტოლდება, მოუტანა ერთი ათასი ევროს ჰონორარი, იტყობინება „ინტერფაქსი".

სამაგიეროდ, სააკაშვილის საუკეთესო მეორე ნახევარზე ირიცხება 154 კვადრატული მეტრის ბინა და 164 კვადრატული მეტრის მანსარდი თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში.

სხვათა შორის, საქართველოს ოპოზიციას არ სჯერა სახელმწიფოს პირველი პირის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ციფრებისა. როგორც ქვეყნის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი თავის დროზე ამტკიცებდა, სააკაშვილის რეალური ქონება შეადგენს მინიმუმ 2 მილიარდ დოლარს.



კერძოდ, ოქრუაშვილის მონაცემებით, პრეზიდენტს ეკუთვნოდა ტელეკომპანია „რუსთავი-2", უდიდესი ქართული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია-ოპერატორი, აგრეთვე ადგილობრივი რკინიგზა.

ამას გარდა, ამტკიცებდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, პრეზიდენტს ძალიან უყვარს საჩუქრად მირთმეული საათები, რომელთა ღირებულება 50 ათას დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს და მან ამ საათებით საკმაოდ სოლიდური პირადი კოლექცია შექმნა, რომელთა ღირებულებაც რამდენიმე მილიონს უახლოვდება.

„ძნელია ისაუბრო სააკაშვილის მატერიალურ მდგომარეობაზე, მაგრამ შემიძლია გაცნობოთ, რომ მან შეაგროვა ძვირფასი საათების კოლექცია საერთო ღირებულებით 3 მილიონი დოლარი", — აცხადებდა ოქრუაშვილი.

სხვათა შორის, თავად სააკაშვილმაც მალე საჯაროდ წარმოადგინა საათი, რომელსაც ატარებდა და რომლის ღირებულებაც 100 დოლარს შეადგენდა: ციფერბლატზე ცისფერი პლასტმასით წარმოდგენილია „მოთამაშე" ბაჭიები.

რაც უნდა იყოს, თუ ოფიციალურ დეკლარაციაში წარმოდგენილი მონაცემები ჭეშმარიტებას შეესაბამება, მაშინ სააკაშვილმა შეიძლება დაკარგოს კიდეც თავისი შემოსავლების ერთადერთი წყარო.

სამშაბათს ცნობილი გახდა ხელმოწერის პროცედურის დაწყების შესახებ სახელმწიფოს მეთაურისთვის იმპიჩმენტის გამოცხადებაზე, რომლის ინიციატორიც გახლდათ ოპოზიციური დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი.

პოლიტიკოსის სიტყვებით, ასეთ უკიდურეს ნაბიჯზე წასვლა მას აიძულა „რუსეთის სამხედრო შემოჭრის" შესახებ სკანდალურმა ინსცენირებამ, რომელიც აჩვენა ტელეარხმა „იმედმა" სააკაშვილის პირადი მოწონებით. ეს უკანასკნელი ფაქტი ამას წინათ დაადასტურეს ბრიტანეთის დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, რომლებმაც მოაწყვეს ტელეკომპანიის პასუხისმგებელი პირების სატელეფონო საუბრის ფირის ჩანაწერის ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა იცოდა მომავალი სიუჟეტის შესახებ.

იმპიჩმენტის პროცედურის ამოქმედებისთვის საჭიროა შეგროვდეს 150 დეპუტატიდან ერთი მესამედის ხელმოწერა. ამავე დროს ცაგარეიშვილმა აღიარა, რომ ამის გაკეთება იქნება რთული, თუმცა აღნიშნა, რომ სააკაშვილმა „დაარღვია კონსტიტუცია, იგი დამნაშავეა, როგორც თანამდებობის პირი". „არ შეიძლება საზოგადოებას მოუწყო ექსპერიმენტი", — ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა.

**იულია მალიშევა**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# „თბილისმა მოსკოვთან დიალოგი უნდა დაიწყოს"

**ამ დღეებში საქართველოში იმყოფებოდნენ ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს შუამავლები, რომლებიც ამზადებენ 8 ივნისისათვის დანიშნულ კავკასიაში უშიშროების შესახებ ჟენევის დისკუსიის მორიგ რაუნდს. შეხვედრები შვეიცარიაში მიმდინარეობს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ. წინა ათმა რაუნდმა რაიმე შესამჩნევი შედეგი არ გამოიღო, მაგრამ ჟენევა რჩება ერთადერთ მოედნად, სადაც შეუძლიათ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა თბილისის, სოხუმის, ცხინვალისა და მოსკოვის წარმომადგენლებს**

აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დაბეჯითებით მოითხოვენ საქართველოსთან სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერას. მოსკოვი მხარს უჭერს ამ ინიციატივას, მაგრამ საქართველო მზად არის ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას მხოლოდ რუსეთთან და არა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომლებიც მას კვლავ თავისი ტერიტორიის ნაწილად მიაჩნია. იმის შესახებ, თუ როგორ იქნეს უზრუნველყოფილი სტაბილურობა კავკასიაში, „ვრემია ნოვოსტეის" უამბო კონფლიქტების შესწავლისა და მოლაპარაკებათა თბილისის საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა, 61 წლის გიორგი ხუციშვილმა.

— ჟენევაში დისკუსიების დროს მხოლოდ ერთხელ მოახერხეს შეთანხმებულიყვნენ — ინციდენტის თავიდან აცილების მექანიზმის შესახებ, მაგრამ სამხრეთი ოსეთი უკვე გამოვიდა ამ ფორმატიდან. ალბათ, შემდეგი შეხვედრაც არ იქნება ეფექტიანი. საქართველოს მთავრობამ დაამუშავა ახალი სტრატეგია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. მასში აღნიშნულია, რომ საჭიროა ავაგოთ ურთიერთობანი არა მხოლოდ იქ მცხოვრებ ხალხებთან, არამედ ხელისუფლებებთანაც — ამ დოკუმენტში ბევრი პოზიტიური მომენტია. მალე დამუშავდება ამ სტრატეგიის რეალიზაციის გეგმაც.

მაგრამ საქართველოს პოლიტიკაში ბატონობს მოსკოვთან დიალოგის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც მოლაპარაკებისთვის არ განაწყობს აფხაზებსა და ოსებს. როდესაც ატმოსფერო მთლიანად არაკეთილსაიმედოა, როგორი კარგიც უნდა იყოს დოკუმენტი, მას არ ექნება ნდობა მოპირდაპირე მხრიდან.

— უნდა მოაწეროს თუ არა ხელი საქართველომ ხელშეკრულებას ომის განუახლებლობის შესახებ?

— საქართველოს მხარე მიიჩნევს, რომ ასეთი დოკუმენტისთვის ხელმოწერა იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარება. მაგრამ ამის თავიდან აცილება შეიძლება შესაბამისი ფორმულირებებით. ამას გარდა ხელმომწერთა შორის აუცილებლად უნდა იყოს რუსეთი. სხვა მხრივ საქმე არ გამოვა. რუსეთი არსებობს ამ ტერიტორიებზე, ისინი დამოკიდებული არიან მასზე პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით.

— მაგრამ მოსკოვი კატეგორიულად ამბობს უარს — აწარმოოს ნებისმიერი მოლაპარაკება საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან და მის გუნდთან...

— ეს ხელს აძლევს საქართველოს ხელისუფლებასაც. მას არ გააჩნია ბერკეტები, რომ შეცვალოს სიტუაცია თავის სასარგებლოდ, ამიტომ თბილისში მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში მისთვის უკეთესია საკითხის გაყინვა. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა არ შეიძლება. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ეთიშებიან საქართველოს. ახალ თაობებს იქ აღარ აქვთ საქართველოსთან კულტურული კავშირურთიერთობანი და საერთო ტრადიციები, ისინი ქართველებს აღიქვამენ, როგორც მტრებსა და აგრესორებს.

— რა უნდა ვქნათ?

— საქართველოს აუცილებლად სჭირდება დიალოგი რუსეთთან. პირველ პირებს არ სურთ ერთმანეთთან ურთიერთობა, მაგრამ მათ მისცენ სიგნალი ქვემდგომ რგოლებს, რათა ამოქმედდეს ბიუროკრატიული მანქანა. შეიძლება დაინიშნოს სპეციალური წარმომადგენლები. საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთს შორის საერთო სახელმწიფო სივრცეზე საუბარი შეიძლება, თუ უფრო მეტი შეხებები წერტილი იქნება ამ ხალხებს შორის. საქართველოს სჭირდება პირდაპირი კონტაქტები აფხაზებთან და ოსებთან.

— საერთაშორისო ვითარება უწყობს ხელს ქართული გეგმების რეალიზაციას?

— საქართველოს არ აქვს შესაძლებლობა მოახდინოს საერთაშორისო გაერთიანების მობილიზაცია რუსეთზე ზემოქმედებისთვის, ანდა იმისთვის, რომ გადაარჩინოს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი მოსკოვზე დამოკიდებულებისგან. უნდა დაიწყოს დიალოგი მოსკოვთან. აგრეთვე საჭიროა განვავითაროთ სახალხო დიპლომატია სოხუმთან და ცხინვალთან, ისე რომ ამ ეტაპზე არ იქნეს წამოჭრილი სტატუსის საკითხი.

— სანამ საქართველოს და რუსეთის ხელისუფლებანი ვერ ამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობას, მოსკოვში ხშირად ჩადიან ქართველი ოპოზიციონერები...

— ასეთი კონტაქტები არ შეიძლება იყოს ეფექტიანი, ოპოზიცია ხომ არ უთანხმებს თავის მოქმედებას ხელისუფლებას.



**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**მკითხაობენ ტუ-154 ჩამოვარდნის მიზეზებზე: შეიძლება მის ბორტზე აფეთქდა ბომბი**

ყოველკვირეული „გაზეტა პოლსკა" თავისი საკუთარი გამოკვლევებისა და სპეციალისტების საექსპერტო შეფასებების შესაბამისად წერს, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავის ბორტზე, ალბათ, მოხდა ბომბის აფეთქება. როგორც ჟურნალისტებს მიაჩნიათ, ამგვარი ნგრევა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ადამიანის ფაქტორით.

* * *

**რუსმა დიპლომატებმა მიიღეს საიდუმლო ინფორმაცია სამხრეთ კორეის კორვეტის დაღუპვის შესახებ**




სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის, ჩინეთისა და იაპონიის დიპლომატებს გააცნო ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი გამოკვლევები. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუ მენ ხვანმა ამავე დროს აღნიშნა, რომ ხომალდი გაანგრია ტორპედომ, რომელიც გამოშვებული იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ, — „ეს ცხადია". ფხენიანი ყველაფერს უარყოფს.

* * *

**ორი ათეული თალიბი-კამიკაძე ბაგრამში თავს დაესხა ნატოს ავიაბაზას**



7 ბოევიკი დაიღუპა, ნატოს ჯარისკაცებს შორის 5 კაცია დაჭრილი. ბრძოლა გრძელდება. იყენებენ სასროლ იარაღს, ხელყუმბარებს და ყუმბარმტყორცნებს. ბაგრამში იმყოფება ავღანეთში ნატოს ერთ-ერთი უდიდესი ბაზა, აგრეთვე იქ არის პატარა ციხე ტყვე თალიბებისთვის.

* * *

**ტაილანდის არმიამ გაარღვია ოპოზიციონერების ბარიკადები, არიან დაღუპულები**

დაიღუპა 7 კაცი, მათ შორის იტალიელი ჟურნალისტი. საუბრობენ 60 დაზარალებულზე. ბანაკის ტერიტორიაზე შევიდა მანქანები წყლის ტყვიამფრქვევებით დემონსტრანტების დასაშლელად და ტანკი, რომელიც აწარმოებს მანევრირებას, იცავს ჯარისკაცებს დემონსტრანტების შეტევებისგან. ხელისუფლებას მანიფესტანტებს სთავაზობს დანებებას, მიმდინარეობს დემონსტრანტების დაპატიმრება.



გლობუსი

# იმედგაცრუებული ვოიაჟი

**ისე, როგორც ყოველთვის, ნაქებმა ამერიკულმა დემოკრატიამ ენ-დი-აის სახით გამოავლინა საკუთარი მიზანსწრაფულობა საქართველოს ხელისუფალთა მხარდაჭერაში. გასულ კვირას მისი დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები უმალ იქცა მასმედიის, განსაკუთრებით ტელეკომპანიების ფართო მსჯელობის საგანი.**

არჩევნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეების განმავლობაში ამერიკული ორგანიზაციის გამოკითხვა სერიოზული ზეგავლენით იმოქმედებს ამომრჩეველზე და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციის წარმატებაში დაეჭვებულმა, საერთოდ უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე. არადა რატომ უნდა წავიდეს ამომრჩეველი არჩევნებზე, როდესაც გარკვევითეუბნებიან – ნაციონალები დიდი უპირატესობით მოიგებენო. **ენ-დი-აის თბილისის ბიუროს შეფი ისე დაბეჯითებით არწმუნებდა რადიო „იმედის“ ურწმუნო რესპონდენტებს – არავითარ გაყალბებას ადგილი არ ჰქონიაო, უმალ საწინააღმდეგოზე აფიქრებინებდა კაცს. გამოკითხვის შედეგებით უკმაყოფილო მსმენელი საკუთარ ნეგატიურ მოსაზრებას არ ერიდებოდა ამერიკელის მიმართ, თუმცა მათი ნათქვამი რაღას შეცვლიდა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა თავისი საქმე გააკეთა, ანუ საზოგადოებაში არსებულ ნიჰილიზმს საკუთარი წვლილიც შემატა. შეიძლება თუ არა გამოკითხვის შედეგები სინამდვილედ ჩაითვალოს? ცხადია, თუ გამოკითხვა მხოლოდ ნაციონალებში ჩატარდა, რასაც ჰქონდა კიდეც ადგილი.** ენ-დი-აის შეფისათვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ქართველი მომსახურე პერსონალის ჭარბი „მოხერხებულობა“ და თუ ამას საკუთარი „მოხერხებულობაც“ თან ერთვის, ამ ქვეყანაში სააკაშვილი და მისი გუნდი სულ გამარჯვებული იქნება. გიხაროდეთ! ყოველთვის ვამბობდი და ამჯერადაც გავიმეორებ – საქართველოს დაავადება სააკაშვილი კი არა, ამერიკაა. ვიდრე საზოგადოება სეროზულად არ გააანალიზებს – რას ნიშნავს ეს დაავადება, და ხმას არ ამოიღებს ამ სენის წინააღმდეგ, მუდამ იქნებიან ოკეანის გაღმიდან მოვლენილი სააკაშვილები, ალასანიები, სხვები, მუდამ იქნებიან თავისუფლების ინსტიტუტები, სოროსის ფონდები და მათ მიერ დაჩეკილი ცინიკოსი გოგო-ბიჭების აღვირახსნილი დიქტატი საზოგადოებაზე. მუდამ დაგვმოძღვრავენ თევზაძეები, დეისაძეები, ბულაძეები, ბაქრაძეები, რამიშვილეიბი, სხვები. გახშირდება პორნოგრაფიული ნოველები და რომანები, სატელევიზიო შოუები, ვიდეო კინოფილმები, მათ წინააღმდეგ ამხედრებული მართლმადიდებლობის დამცველთა რბევა, და ამ მართლმადიდებელთა საქციელის საჯარო გმობა, რასაც ადგილი ჰქონდა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში. ეს როგორ შეიძლებაო, ეს დაუშვებელიაო – იტყვიან ქართული პოლიტიკის დედანი და მამანი, „ოქროს“ საზოგადოების წარმომადგენლები. **სულ უფრო აქტიურად შემოიხევენ ტანზე განსწავლული ქართველები „მართალი ტელეჩაინიკის“, კავკასია რომ ჰქვია, ეთერში – ძალადობა დაუშვებელიაო, თითქოს ძალადობა არ არის ის, რასაც სააკაშვილები იყენებენ საზოგადოების მიმართ. ძალადობაც არის და მეტიც – „სამების ტაძარივით ერექტულით“ ქვეყნის გაბახება. ერის ძალადობრივი გამეძავება შედარებით უხილავია, მაგრამ ხილულია მოძალადეთა წინააღმდეგ მუშტის აღმართვა.** სამწუხაროდ, ეს პაექრობაც, ისე როგორც მრავალი სხვა ნაცების, ცისფრების, გადაგვარებულად მოაზროვნეთა გამარჯვებით დასრულდა. ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ასე იყო ჩადებული იმ სცენარში, რომელიც ნიჭიერად შეასრულა აქუბარდია-ჯანგირაშვილის დუეტმა – თანამედროვე საქართველოს „სასიქადულო“ შვილებმა. დაისაჯნენ ისინი, ვისი დასჯაც წინასწარ გაითვალეს. **ამერიკულ დიპლომატიას არასდროს დაუგმია ეკლესიების ნგრევა, მართლმადიდებლობაზე თუთბერიძეთა ბინძური შეტევა, მაგრამ ამჯერად დაგმო – მართლმადიდებლობის დამცველთა ჩხუბი „კავკასიაში“. აშშ-ს ელჩმა ბასმა მჭევრმეტყველება არ დაიშურა „დამნაშავეთა“ შესამკობად. არც ერთი სიტყვა აღშფოთების გამომწვევ მიზეზებზე, ძნელია დაგმო ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა ქცევა დეისაძის „შედევრის“ პრეზენტაციის მოწყობისათვის, როდესაც რექტორი თევზაძე ცალსახად აცხადებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა იყოს. ისევ მართლმადიდებლობის დამცველთა დაგმობა სჯობს, ასე ფიქრობს ბასი.**

დავუბრუნდეთ ენ-დი-აის გამოკითხვას. მისი მიხედვით გამოიკითხა 2 000-ზე ოდნავ მეტი ადამიანი. მათი აზრი გასათვალისწინებელია – ასე ამბობენ ამერიკელები და, ცხადია, ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩაში არაერთხელ გამოსული 200 000-ისა – არა. მაინც ვინ არის ეს 2 000, რომლის აზრს ასე დაბეჯითებით თავს ახვევენ საზოგადოებას? ცხადია მათ ვინაობას ვერასოდეს შევიტყობთ, ისე, როგორც გამოკითხვის ნამდვილი დამკვეთისას. მასზე ვარაუდით უნდა ვილაპარაკოთ და იმით, თუ ვის გაუხარდა ყველაზე მეტად. ის, რომ ხელისუფლება საქართველოს ბიუჯეტიდან ზღაპრულ თანხებს ხარჯავს პიარ აქციებში, არახალია. ის ყველაფერს აკეთებს საკუთარი განდიდებისთვის. პიარის და ფულის კეთება არის უპირველესი ამოცანა, რომელთა შესასრულებლად იგება გზები, მერე რა, რომ დაგებისთანავე ინგრევა, ილეწება ფასადები, მერე რა, რომ პირველი წვიმის შემდეგ ირეცხება, იგება რკინის გადასასვლელი ხიდები, მერე რა, რომ მასზე აფორთხება ჭირს და ამიტომაც არავინ იყენებს. ხელისუფლება დაეჩვია საკუთარი რეკლამისათვის დიდი ფულის ხარჯვას. რეკლამა შიდა მოხმარებისათვის არის გამიზნული. გარეთ ხელისუფალთა ჩასვრილ საქმეს პიარი ვერ უშველის. უცხოეთში შეკვეთით გამოქვეყნებული სტატიები ან გამოცემული წიგნები 2008 წლის ომზე, ქართულ გონიერებაზე ზეგავლენის მოსახდენად კეთდება და არა უცხოელთათვის საქართველოს გაცნობის მიზნით. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის წლებმა ზედმიწევნით აქტიურად გააცნო საქართველო უცხოეთს, ოღონდ ერთია ის, უცხოეთი საქართველოსა და მის ხელისუფლებაში არცთუ ცოტა შესაშინებელს ხედავს. ვაშინგტონის კონფერენციამდე, რომელშიც სააკაშვილიც იღებდა მონაწილეობას, რამდენიმე დღით ადრე ჯეიმს ჯატრასმა სახელმწიფო დეპარტამენტისა და სენატის ყოფილმა თანამშრომელმა, რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსში“, რომელშიც ის მოუწოდებდა ობამას, გაეუქმებინა სააკაშვილის მიწვევა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს ტერორისტთა ქმედებას რუსეთის ტერიტორიაზე. **„ჩვენთვის, ამერიკელებისთვის აუცილებელია, რომ სააკაშვილმა არ ჩაგვითრიოს თავის ავანტიურაში. ცნობილია, რომ ბუშის ადმინისტრაციის ზოგიერთი მოხელე გამოდიოდა სამხედრო მოქმედებისათვის რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის ომის დროს, რითაც პირდაპირ აყენებდნენ მოსკოვი-ვაშინგტონის სამხედრო დაპირისპირების რისკს. ასეთს ადგილი არ ჰქონია ცივი ომის დროსაც. ვერავითარი ამერიკული ინტერესი ვერ გაამართლებს ასეთ რისკს, ვერავითარი ამერიკული ინტერესი ვერ მოიგებს საკუთარ ქვეყანაში სააკაშვილის დაცემული პოპულარობისთვის ხელის შეწყობით“.** კონფერენციაში მონაწილე 47 ქვეყანაში საქართველოს გამოჩენა, მით უმეტეს, როდესაც ის შორსაა ბირთვული კვლევებისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ გავრცელებაზე, ერთის შეხედვით ალოგიკური იყო, მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით. სწორედ ბირთვული გაუვრცელებლობის საქმეში გამოვლენილი „სიფხიზლისთვის“ მიიწვიეს პატივცემული მიხეილი ამერიკაში. მანამდე და სამიტის მიმდინარეობის დროს პატარა სპექტაკლი დაიდგა აფხაზურ-რუსული ურანის აღმოჩენით. მკითხველს ემახსოვრება ქართველ მესაზღვრეთა საშური ოპერატიულობა რუსთავების ეკრანებზე. ჰოდა მსოფლიო მშვიდობის თავგადაკლულ მებრძოლს ვინ დატოვებდა ვაშინგტონის სამიტის გარეშე? ბარაქალა სააკაშვილის მიერ დაქირავებულ პიარ ჯგუფებს, სწორედ მათ მარიფათს უნდა უმადლოდეს სააკაშვილი კონფერენციაში მონაწილეობას. ამაში გაუმართლათ, მაგრამ მეორეში – ობამას მიერ სააკაშვილის მიღებაში, ვერა. სამი ლობისტური ფირმა იღებდა მონაწილეობას სააკაშვილის ვიზიტის მომზადებაში – წარმომადგენელთა პალატის ყოფილი სპიკერის რიჩარდ გეპჰარდის, კლინტონის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის ჯონ პოდესტას ძმის ტონი პოდესტას და სენატორ მაკკეინის საგარეო საქმეებში მრჩევლის რენდი შუნემანის. ობამასთან შეხვედრა რომ საეჭვო იქნებოდა კარგად ჩანდა გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე. **ობამას სატელეფონო ზარმა სააკაშვილთან თავისთავად გვაფიქრებინებდა, რომ სასაუბრო თემა ტელეფონით ამოიწურა და პირდაპირ შეხვედრას აზრი აღარ ჰქონდა.** ასეც მოხდა, მაგრამ წარმატების მაძიებელ სააკაშვილისთვის მინიშნება საკმარისი არ გამოდგა. დაუპატიჟებელ ვიზიტებს დაჩვეული, ამჯერადაც იმედს ჯიქურ მიწოლაზე ამყარებდა. თუ ასეთმა არაპროტოკოლურმა ქცევამ არაერთხელ მოუტანა სააკაშვილს შედეგი, ამჯერად არ გაჭრა. რა ღონესა და ხერხს არ მიმართეს სააკაშვილმა და ლობისტურმა ფირმებმა, მაგრამ არა.




თეთრ სახლში მიღებაზე უარის თქმა სულაც არ ნიშნავს სააკაშვილის რეპუტაციის საბოლოო შერყევას, მაგრამ მისდამი დამოკიდებულება რომ უარესობისკენ შეიცვალა, ცხადია. აბეზარი, მიღებაზე დაბეჯითებული მთხოვნელი, უცხო ქვეყნის მეთაური, რომ ამერიკელებისათვის უცხო ხილია, ესეც ცხადია. ობამას ადმინისტრაციამ გაუძლო ჯიუტი სტუმრის თითქმის ერთთვიან შეტევას და თავის უარს არ გადაუხვია. სააკაშვილები მოდიან და მიდიან, მაგრამ ქვეყანა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ რჩება. თუ რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა მასპინძელს, ახირებული სტუმრიდან ერთია, მაგრამ თუ რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა საქართველოს მიმართ, სხვა. სააკაშვილისა და სააკაშვილების შემყურე ამერიკელი რომ ალმაცერად შეხედავს ქართველს ესეც ცხადია.

საერთაშორისო ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროტოკოლს, რომლითაც რეგულირდება არა მარტო ვიზიტების დონე – სახელმწიფო, ოფიციალური, სამუშაო და ა. შ. არამედ ვიზიტის ხანგრძლივობაც. ოფიციალური, სახელმწიფო, მით უმეტეს, სამუშაო ვიზიტები ორ დღეს არ აღემატება. სააკაშვილის ვიზიტი ამერიკაში – კონფერენციაში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა. არავის (არც ამერიკელებს და არც საქართველოს უთქვამს, რომ კონფერენციის შემდეგ გაიმართებოდა სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ამერიკაში. ამდენად, მისი ამერიკაში ხანგრძლივი ყოფნა მხოლოდ ტურიზმის ფარგლებში ჯდება და არა „ვიზიტის“, რასაც ასე დაბეჯითებით თავს გვახვევდა სამივე რუსთავი. ისე, კაცმა რომ თქვას დამოუკიდებლად ცხოვრების 20 წელი საკმარისი უნდა ყოფილიყო ამ მარტივი ანბანის შესასწავლად.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

მე-15 საერთაშორისო

## გიწვევთ მშენებლობისა და ინტერიერის გამოფენა



**19-22 მაისს, გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, №4, 5, 6 და 11 პავილიონებში და საგამოფენო ცენტრის ღია სივრცეზე მშენებლობისა და ინტერიერის მე-15 საერთაშორისო გამოფენა – Caucasus Build 2010 გაიხსნა. გამოფენის ორგანიზატორია კომპანია „ექსპო ჯორჯია“. იგი ტარდება თბილისის მერიის მხარდაჭერით.**

**100 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილია 120-ზე მეტი კომპანია 20 ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, არაბეთი, ბელორუსია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, თურქეთი, ირანი, ისრაელი, იტალია, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, უკრაინა, ფინეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, ჩინეთი, ჰოლანდია.**

**მონაწილე კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ საქმიანობას და პროდუქციას: სამშენებლო მასალებისა და აქსესუარების ფართო სპექტრს: ლაქ-საღებავი, აბაზანები, აუზები, სანტექნიკა, გათბობისა და კონდიცირების სისტემები, განათება და ელექტროაღჭურვილობა, კარ-ფანჯრები და ჟალუზები, პარკეტი და მოსაპირკეთებელი ფილები, ასევე – სამშენებლო ტექნიკა, სატვირთო ავტომანქანები და მრავალფუნქციური მოწყობილობები და მრავალი სხვა.**

**გამოფენაზე ხე-ტყის გადამმუშავებელი ტექნოლოგიისა და მასალების ფართო სპექტრია და დამთვალიერებელს საშუალება ექნება, შეხვდეს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და კონსულტანტებს.**

**გამოფენა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, ბატონმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა გახსნა და ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები დაესწრნენ.**

**გამოფენის პარალელურად, დაგეგმილია სემინარი თემაზე „ენერგოეფექტურობა – ბიზნესი ყველასათვის“.**

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
ავტორის ფოტო.



სეოკი

# კვარტეტი — „ოლიმპიკში“

**უკვე გაუწყეთ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე „ოლიმპიკის“ რეკონსტრუირებული საწყლოსნო კომპლექსი ჩადგა მწყობრში, რომლის 50-მეტრიან საცურაო აუზში გუშინ დიდი ხნის წინათ მივიწყებული წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი აღდგა.** ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქს ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ნორი კრეხტენი ეწვია. საპატიო სტუმარმა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრეზენტაცია გამართა, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ბითაძე, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე ესწრებოდნენ.

„საქართველოში პირველად ვარ, — თქვა კრეხტენმა, — უკვე მოვიხიბლე აქაურობით. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ საწყლოსნო სპორტის სახეობები ქვეყანაში პრიორიტეტად იქცა, რასაც კეთილმოწყობილი საწყლოსნო ბაზის გახსნა და წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის აღდგენაც მოწმობს. იმედია, აღებული ტემპი მომავალშიც არ შენელდება“.



შეგახსენებთ, რომ თბილისის ტურნირში მასპინძლებთან ერთად დიდი ბრიტანეთის, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებებიც მონაწილეობენ. ჩვენი გუნდი მთავარი მწვრთნელის ზვიად დავითიანის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით ჩაება შეჯიბრებაში: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, ვლადიმირ მარკოვიჩი, კოტე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა (კაპიტანი), გიორგი ახვლედიანი, ტატო ნიკოლეიშვილი, ანდრო ნამორაძე, ბექა ქავთარაძე და მიხეილ ბაღათურია.

**სურათზე: ნორი კრეხტენი (მარცხნივ) და გია ნაცვლიშვილი.**

ქართული ჭიდაობა

# გორელთა უპირატესობით

**დუშეთის რაიონის გამგეობისა (გამგებელი ზურაბ ოტიაშვილი) და სპორტის სამსახურის (უფროსი ივერი ჯიქურაული) ინიციატივით სხვადასხვა დროის ცნობილი ფალავნების სახელობის ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში.** წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე პაატა მერებაშვილი (გორი, 60 კგ), გიორგი პაპინაშვილი (გორი, 70), ლაშა ყიზილაშვილი (ახმეტა, 80) და პაატა ღვინიაშვილი (გორი, +80) გავიდნენ.

ძიუდო

# ჯერ — რიო, მერე — მადრიდი

**მომავალ უქმეებზე (22-23 მაისს) რიო-დე-ჟანეირო ძიუდოისტთა „დიდ პრიზს“ უმასპინძლებს. შეჯიბრებაში გურამ მოდებაძის ხელმძღვანელობით სამი ქართველი ფალავანი იჭიდავებს — ვალერი ლიპარტელიანი (90 კგ), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და დავით ქევხიშვილი (73), რომელიც ამჟამად კანადაში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს.**



5-6 ივნისს საქართველოს ნაკრების წევრები მადრიდის მსოფლიოს თასზე მოსინჯავენ ძალებს.

ჩოგბურთი

# სამნი „როლან გაროსზე“

**ქართული ჩოგბურთის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ სამი ჩვენებური ერთდროულად იასპარეზებს პარიზში საფრანგეთის ღია პირველობაზე.** საკვალიფიკაციო ბადეში ანა ტატიშვილი ამერიკელ ელისონ რისკეს ეთამაშება, ოქსანა კალაშნიკოვა ავსტრალიელ შენონ გოლდს შეხვდება, ხოლო მაკა ჩახნაშვილი სლოვაკ სუზანა კოჩოვას დაუპირისპირდება.



სუმო





# დაიდო არ დაინდო

**ქართველ სუმოისტ თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ) ერთი მოგებაღა აკლია ელიტაში აღსაზევებლად. 202-კილოგრამიანმა გოლიათმა ძურიოს დივიზიონის ლიდერი დაიდო დაამარცხა და ახლა 10 ტურის შემდეგ 7-3 ბალანსი აქვს. მიზნის მისაღწევად ხუთ შეხვედრაში ერთი წარმატებაც ჰყოფნის.**

სამწუხაროდ, კვლავ უსუსურად გამოვიდა კოკაი (ლევან ცაგურია), რომელმაც ვადამდე გაიფორმა უარყოფითი ბალანსი — ჩვენებურმა მაისის ბაშოზე მერვე მარცხი მონღოლ კაკურიუსგან იგემა.

ტურნირი კარგად დაიწყო 22 წლის ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი). ხუთი ტურის შემდეგ მას სასურველი შედეგი (4-1) ჰქონდა, მაგრამ მომდევნო ხუთ შეხვედრაში მონაგარი გაანიავა და ახლა ნულოვანი ბალანსით (5-5) განაგრძობს ბრძოლას. დარჩენილ ხუთ მეტოქესთან მას სამი მოგება სჭირდება.

ფორმულა-1

# მონაკოში გაიმარჯვეს

**„ფორმულა-1“-ის ავსტრალიელი პილოტი მარკ უებერი „რედ ბულიდან“ მონაკოში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე რბოლის დაწყებიდან ბოლომდე ლიდერობდა, მეორე ადგილზეც მისი თანაკლუბელი, გერმანელი სებასტიან ფეტელი გამოვიდა, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი რობერტ კუბიცა ავიდა „რენოდან“.**

სტარტზე ფეტელმა გაუსწრო კუბიცას. მაგრამ ტრასაზე ისეთი რამეები ხდებოდა, რომ ყველაფერი არივ-დარია. გვირაბში თავისი „უილიამსი“ დაამტვრია ნიკო ჰიულკენბერგმა, მესამე წრეზე დაიწვა მსოფლიო ჩემპიონისა და ახლანდელი ლიდერის ჯონსონ ბატონის „მერსედესი“. შემდეგ მთავარი მოქმედი პირი ფერნანდო ალონსო გახდა, ერთმანეთზე რომ იტოვებდა უკან მეტოქეებს, მაგრამ წარმატებებში ხელი შეუშალა რბილი საბურავების მაგარით გამოცვლამ. მალე ავარია რუბენს ბარიკელომაც მოახდინა. მისი ბოლიდი დამცავ კედელს შეასკდა.

ახლა პირად ჩათვლაში 78 ქულით მარკ უებერი და სებასტიან ფოტელი ლიდერობენ, მათ ხუთი ქულით ჩამორჩება „ფერარში“ გადასული ფერნანდო ალონსო.



ინტერნეტიდან



## ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელი

**მოიპოვა რა რეკორდული, მე-18 ტიტული მასტერსის კატეგორიის ტურნირებზე, ესპანელი რაფაელ ნადალი აღმოჩნდა ამ სეზონის უმდიდრესი ჩოგბურთელი მსოფლიოში.**

მადრიდის ღია ჩემპიონატზე ფინალში პლანეტის პირველი ჩოგანოსნის როჟე ფედერერის დამარცხებით ესპანელის საბანკო „ჯიბე“ შეივსო 585 ათასი ევროთი და საერთაშორისო ანგარიშით ბოლო ხუთ თვეში მან საპრიზო 2 მილიონ 596 880 დოლარი დააგროვა. ამ სეზონში მან 7 ტურნირში ითამაშა, საიდანაც სამში გაიმარჯვა, ერთშიც ფინალამდე მივიდა.

მეორე ადგილზეა როჟე ფედერერი — 2 მილიონ 45 ათასი დოლარი.

უმდიდრესთა პირველ ხუთეულში არიან აგრეთვე ამერიკელი ენდი როდიკი — 1,24 მილიონი, ბრიტანელი ენდი მიურეი — 1,23 მილიონი და ესპანელი ფერნანდო ვარდასკო — 1,17 მილიონი.

## მესი „ოქროს ბურთს“ დაეუფლა

**ყოველი ფეხბურთელისთვის საოცნებო „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდა კატალონური „ბარსელონას“ სახელოვანი თავდამსხმელი ლეონელ მესი, სეზონში ევროპულ ჩემპიონატებში ყველაზე მეტი ბურთი რომ გაიტანა.**



ესპანეთის ჩემპიონატის დასკვნით ტურში „ვალიადოლიდთან“ მატჩში მან ორი გოლი გაიტანა, რითაც არგენტინელი ესპანელის გატანილი ბურთები 34 გახდა, რამაც შესაბამისი კოეფიციენტის დამატებით 68 ქულა დაუგროვა, რაც 10 ქულით მეტია მესის მდევრების დიდიე დროგბასა („ჩელსი“) და ანტონიო დე ნატალეს („უდინეზე“) მონაპოვარზე.

„მესი საუკეთესოა მათ შორის, ვინცკი მინახავს, ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ“, — უთქვამს „ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელს ხოსეპ გვარდიოლას.

## ფეხით სიარული უყვარს

**როგორც ამბობენ, კროსზე სარბენი ახალი ფეხსაცმლის სარეკლამოდ სულაც არაა სავალდებულო მთლიანად გაშიშვლება, საკმარისია მხოლოდ მოხდენილი ფეხების ჩვენება, რის „ჩამოყალიბებაში“ ამ ფეხსაცმლის განსაკუთრებული ძირებიც ეხმარება. თუმცა უკვე 40 წელს მიღწეული მოდელ ჰელენა კრისტენსენისთვის ასაკი დაბრკოლება როდია. ის არ ერიდება გაშიშვლებას. თანაც სულ უფრო ცდილობს ასე მოქცევას. მით უმეტეს, რომ ის ისევე ტანადი და მიმზიდველია, როგორც ახალგაზრდობაში.**



„როგორც კი მოვირგე ახალი სარბენი ფეხსაცმელი, მაშინვე ვიგრძენი მათი მოქმედება. მე ნიუ-იორკში ვცხოვრობ და მიყვარს ფეხით სიარული. ასე რომ, ფეხსაცმელი, რომელიც ამუშავებს კუნთებს და დუნდულებს, ნამდვილად მიგნებაა“ — განაცხადა ჰელენამ.

მეცნიერება

# აპოკალიფსი სცენარის მიხედვით

## დაღუპავს კაცობრიობას „გოგირდის ლორწო“?

**ხალხს ყოველთვის უყვარდა ფიქრი კაცობრიობის დაღუპვის შესახებ. უახლოესი აპოკალიფსი „დანიშნულია“ 2012 წლის 23 დეკემბრისთვის – ამ დღეს დამთავრდება მაიას კალენდრის მორიგი ციკლი, პლანეტები კი ცაზე განლაგდებიან გარკვეულ რიგზე.**

**გვესაუბრება ფუტუროლოგი, რამდენიმე წიგნის ავტორი ალექსი ტურჩინი, რომელმაც გააანალიზა ბუნებრივი და ხელთქმნილი კატასტროფების ყველა ცნობილი სცენარი.**

### განკითხვის დღის მანქანა

**– რას უნდა ველოდოთ 2012 წლისგან? იქნებ კიდევ ერთხელაც გადავრჩეთ?**

– ვფიქრობ, რომ კი. რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს მაიას კალენდარს ჩვენი დროის რეალურ რისკთან? აბსოლუტურად არანაირი. მაგრამ, როგორც კი ასახელებენ სავარაუდო კატასტროფის თარიღს, უმალვე იწყება მასთან დაკავშირებული ისტერია. 2012 წლის გარდა არის 2029 წლის მაგალითიც, როდესაც დედამიწას ჩაუქროლებს აპოფისის ასტეროიდი. ჩვენს პლანეტასთან შეჯახება უკიდურესად ნაკლებად სავარაუდოა. კიდეც რომ მოხდეს იგი, გლობალურ კატასტროფაზე, ალბათ, საუბარიც არ ღირს: დანგრევა იქნება 100 კილომეტრის ფარგლებში დაცემის ადგილიდან, პლუს უმნიშვნელო ცვენა ატმოსფეროში. მაგრამ ბევრმა უკვე დაუსვა ტოლობის ნიშანი აპოფისსა და დედამიწის დასასრულს შორის.



**– თუ დავიღუპებით რისგან – ასტეროიდისგან, გლობალური დათბობისგან, ბირთვული ომისგან? კინემატოგრაფში ეს ყველაზე პოპულარული სცენარებია.**

– ეს რისკები სწორედ არ არის დიდი და ისინი არც მიგვიყვანენ მთელი კაცობრიობის გადაშენებამდე. თუმცა არის ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც მოსალოდნელია საკვალსათბურო კატასტროფა: ტემპერატურა პლანეტაზე გაიზრდება ნახტომისებურად – და არა 5, არამედ 50 და მეტი გრადუსით, რის შედეგადაც ცხოვრება დედამიწაზე დაიღუპება. თეორიის ავტორია რუსი ბიოფიზიკოსი ალექსეი კარნაუხოვი. მაგრამ ეს თეორია არ არის საყოველთაოდ მიღებული. რაც შეეხება ასტეროიდს, საპლანეტო კატასტროფა შესაძლებელია ისეთ სხეულთან შეჯახების დროს, რომლის მოცულობაც 30-60 კილომეტრის დიამეტრზე ნაკლები არ იქნება. მაგრამ ასეთ სტუმართან შეხვედრის ალბათობა ამ საუკუნეში უკიდურესად მცირეა: სადღაც *0,0001 პროცენტი*, **თანაც** თვალყურის დევნების საშუალება ასტეროიდებზე განუხრელად სრულყოფილი ხდება.

აი, ბირთვული კატასტროფა სავსებით შესაძლებელია. თანაც სცენარს ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ აქვს ბევრი ვარიანტი. ერთ-ერთი მათგანია – მეტად დიდი წყალბადის ბომბის გამოყენება კობალტი-59-ის გარსით. აფეთქების დროს რადიაქტიური იზოტოპი ვრცელდება დედამიწის მთელ ზედაპირზე, იგი გარანტიულად ანადგურებს მთელს კაცობრიობას. ასეთმა ბომბმა მიიღო „განკითხვის დღის მანქანის“ სახელწოდება. ასეთი იარაღის შექმნა ჯერჯერობით ვერავის მოუხერხებია, მაგრამ, ცხადია, რომ ისტორიაში იყვნენ ხალხი, რომლებიც მზად იყვნენ თან წაეყვანათ საფლავში მთელი კაცობრიობა თუ ამის საშუალება მათ მიეცემოდათ. საკმარისია დავასახელოთ ჰიტლერი. მაშასადამე „განკითხვის დღის მანქანის“ სცენარი გამორიცხული არ არის.

### „ვირუსი“ კოსმოსიდან

**– ბირთვული საფრთხის შესახებ კაცობრიობამ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია იცის. რა შეიძლება დავასახელოთ ახალი სამეცნიერო დამუშავებიდან გლობალური კატასტროფისთვის? აი, მაგალითად, ნანოტექნოლოგიები...**

– არის ისეთი საშიშროება, როგორიცაა „გოგირდის ლორწო“. ნანოორობოტები, რომლებსაც შეუძლიათ თვითწარმოება, გამოდიან კონტროლიდან და ქმნიან საკუთარ ასლებს გარე მატერიებისგან. ამ დროს ყველაზე მიმზიდველი გარემო მათთვის არის ბიომასა – იგი შეიცავს ჟანგბადსაც, ენერგიასაც, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ დაჟანგვის ხარჯზე. დაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ ნანოროობოტებს ორი დღე-ღამის განმავლობაში შეუძლიათ გადაამუშაონ დედამიწის მთელი ბიომასა. მეორე ვარიანტია – ნანოტექნოლოგიური იარაღი, ერთი ციცქნა რობოტები, რომლებიც შეუტევენ ადამიანებს და შეიყვანენ მათში, მაგალითად, შხამს. ბოროტი აზრის არსებობის შემთხვევაში ასეთ იარაღსაც მივყავართ გლობალურ კატასტროფამდე. და მოხდება ისე, როგორც ერთ-ერთ ლექსშია: „სკოლა დგას, მასში კი არავინაა“.

**– ჯერ კიდევ ფანტასტებმა დაგვაშინეს, რომ უნდა ვერიდოთ რობოტების შიშს, რომლებიც დაივიწყებენ, თუ ვინ არის მათი ბატონ-პატრონი...**

– ხელოვნური ინტელექტი (ხიძ ჯერჯერობით არ შექმნილა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, XXI საუკუნეში ეს მოხდება. სამეცნიერო ჯგუფები სხვადასხვა ქვეყანაში მჭიდროდ მიუახლოვდნენ ამას. პარადოქსია ის, რომ უფრო მეტად ინტელექტუალური არსების წარმოქმნა თავისთავად გახდება კატასტროფა ადამიანისთვის. ნებისმიერი გადაშენებული სახეობა გაქრა იმიტომ, რომ გვერდით გაჩნდა უფრო ეფექტიანი მტაცებელი. ხი-ს სისტემას შეუძლია განუსაზღვრელი ოდენობით ასწავლოს თავის თავს, მისი სიმძლავრე – ზვავისებურად შეიძლება გაიზარდოს. ის შექმნის თავის მექანიზმებს დედამიწაზე მოქმედებისთვის, მისთვის არ იქნება სირთულე – კონტროლი დააწესოს ნებისმიერ კომპიუტერულ სისტემაზე, მათ შორის, სახელმწიფოს მმართვის სისტემებზე და ინტერნეტზე. თუმცა გვეჩვენება, რომ ადვილად შეიძლება ხი-ს კონტროლი, სინამდვილეში ეს ამოცანა თითქმის შეუსრულებელია. იგი დაძლევს ნებისმიერ დაცვას და იოლად ჩაიგდებს ხელში ხელისუფლებას დედამიწაზე. ყველაზე საშიში ვარიანტია – ხი იწყებს ერთგვარი ამოცანის რეალიზაციას, რომელშიც ადამიანის უშიშროების შესახებ არაფერია ნათქვამი. ადამიანი მის ღირებულებათა სისტემაში საერთოდ არ აღმოჩნდება.

ხელოვნური ინტელექტი ასევე შეიძლება მოგვევლინოს კოსმოსიდანაც, სიგნალების მეშვეობით, რომელსაც უშვებენ უცხოპლანეტელი ცივილიზაციები. არსებობს საერთაშორისო პროგრამა „სეტი“, იგი აწარმოებს რადიოსიგნალების რეგულარულ მოსმენას, მათ გაშიფვრას. არ არის გამორიცხული, რომ ისინი გამოგვიგზავნიან ხი-ს პროგრამის აღწერას. ჩვენ, ჩვენი სისულელით გავუშვებთ მათ და იგი დაიპყრობს დედამიწას, გამოიყენებს ჩვენს ცივილიზაციას თავიანთი ასლების დასაგზავნად სამყაროში, როგორც კომპიუტერულ რისკს.

გლობალური კატასტროფებისთვის ყველაზე სავარაუდო დროა – პერიოდი 2020-დან 2040 წლამდე. სწორედ ამ მონაკვეთში გაჩნდება ტექნოლოგიები, რომლებზეც კონტროლს ადამიანი დაკარგავს. რასაკვირველია, არ არის სავალდებულო, რომ ყველაფერი კაცობრიობის აღსასრულით დამთავრდეს – ხალხი შეიძლება გადარჩეს, თუმცა მოხდება მათი დეგრადირება ან დამორჩილება.

**დიმიტრი პისარენკო**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

---

გარდაიცვალა შესანიშნავი ხელოვანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ცნობილი ფერმწერი, დამსახურებული მხატვარი, პროფესორი

**მამია ახობაძე**

აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა, სიყვარულითა და მოწიწებით ხატავდა საქართველოს ბუნებას, ისტორიულ ძეგლებს, ადამიანებს. მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ უცხოეთის სამხატვრო გამოფენებში – მოსკოვში, პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ჩილეში, იაპონიაში.

მისი ნამუშევრები დაცულია მუზეუმებში და კერძო კოლექციებში, ინგლისის სამეფო აკადემიის სახვითი ხელოვნების მუზეუმში. ბატონი მამია ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, გორში, სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან დიდი შემოქმედება დაგვიტოვა. ბატონი მამია ახალგაზრდობის დიდი ქომაგი იყო, წლების მანძილზე მხატვართა კავშირში ახალგაზრდა მხატვართა სექციას ხელმძღვანელობდა. მისი ღვაწლი მნიშვნელოვანი და დაუვიწყარია მთელი თაობებისთვის. მან ქართველი მხატვრების მრავალი თაობა აღზარდა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება საზოგადო მოღვაწესა და ჭეშმარიტ მამულიშვილს, თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი
*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი კინორეჟისორის, საზოგადო მოღვაწის, ბატონ რეზო ჩხეიძის ღირსეული მეუღლის, ქალბატონ

**რუსუდან ფარემუზაშვილის**

გარდაცვალებას, თანაუგრძნობს ბატონ რეზოს, ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი
*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*

---

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დიდი ქართველი მამულიშვილის, პოეტ-აკადემიკოს

**მუხრან მაჭავარიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

---

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას პოეტი-აკადემიკოსის

**მუხრან მაჭავარიანის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

---

ნოდარი და გივი ემუხვარები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ბ-ნ ლორიკ მარშანიას და მის ოჯახს უკეთილშობილესი ქალბატონის

**მერი გუგუშვილი-მარშანიას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბ-ნ ლორიკ მარშანიას უძვირფასესი მეუღლის

**მერი გუგუშვილი-მარშანიას**

გარდაცვალების გამო.

---

## განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს“.**

1. ბანკის კრედიტორულ მოთხოვნებზე (სასესხო დავალიანებაზეძ. გასაყიდად გამოტანილი იქნება ბანკის მოთხოვნები სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირებიძ მიმართ მოსათხოვი თანხის 50 პროცენტში, თითოეული სუბიექტის მიმართ მოთხოვნების გაყიდვა მოხდება დამოუკიდებელ ლოტად.

2. ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობებიძ შეფასებული ღირებულების 50 პროცენტში.

● ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი №178, მიწის ნაკვეთი 350 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელიძ ფართი 210 კვ.მ., ფასი – 66750 ლარი.

● ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ახალსოფელი, მიწის ნაკვეთი 502 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (მშენებარეძ 398.80 კვ.მ., ფასი – 35500 ლარი.

● ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №42, საცხოვრებელი ფართი 115.88 კვ.მ., ფასი – 34500 ლარი.

● ქობულეთის რაიონი სოფ. ქვემო კვირიკე, მიწის ნაკვეთი – 5000 კვ.მ., შენობა-ნაგებობა (ორსართულიანი საცხოვრებელი ბინაძ ფართი – 465 კვ.მ., ფასი – 52250 ლარი.

● ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი, შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელიძ ფართი – 60.40 კვ.მ., ფასი – 1500 ლარი.

● ქ. ბათუმი, გორგასლის ქ. №25, საცხოვრებელი (ბინაძ ფართი – 17.39 კვ.მ., ფასი – 7500 ლარი.

**აუქციონი გაიმართება 2010 წლის 1 ივნისს 12 საათზე ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №33-ში.**

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ოფისში ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. №33. ტელ. 7-60-03, 899-51-13-82.**

*სააუქციონო კომისია*
*ლიკვიდატორი* რ. ცაციაშვილი

---

## განცხადება

2010 წლის 13 ივლისს, 12 საათზე, ქ. მცხეთაში, მცხეთის მუნიციპალიტეტის შენობაში, გაიმართება შპს „ტ და გ“-ს კუთვნილი ასფალტის საწარმოს (მცხეთა, სოფ. ძეგვიძ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

– საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.

– შპს „ტ და გ“, მცხეთა სოფ. ძეგვი.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებებისა და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

– შპს „ტ და გ“, მცხეთა, სოფ. ძეგვი.

---

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ინფორმაცია

# წინ სახიფათო მოსახვევია

ასტროლოგები, უზენაეს გონებასთან კონტაქტში მყოფნი და, ზოგადად, სხვა პროფილების ეზოთერიკოსები, ერთმანეთში მოლაპარაკებულებივით, ერთხმად წინასწარმეტყველებენ 2012 წლის 21 დეკემბერს ჩვენი ცივილიზაციის დაღუპვას. ისმება კითხვა: რას ეფუძნება ეს მტკიცება?

**პირველი:** იმას, რომ სწორედ ამ დღეს სრულდება მაიას კალენდარი;

**მეორე:** ეს არის მზის მაქსიმალური აქტივობის დღე;



**მესამე:** ეს არის არა მარტო ჩვენი მზის სისტემის, არამედ მეზობელი ვარსკვლავური სისტემების პლანეტების აღლუმის დღე;

**მეოთხე:** კლიმატის დათბობა და მსოფლიო ოკეანის დონის მატება დამღუპველ დონეს მიაღწევს.

თუმცა სერიოზული მეცნიერები აცხადებენ, რომ პესიმიზმის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან, თუნდაც პლანეტების აღლუმებიც და მზის აქტივობის ციკლებიც დედამიწას მრავალ ათასჯერ აქვს გამოვლილი. კლიმატის დათბობაც და აცივებაც, რომლებიც ათასწლეულებით იჭიმება ხოლმე, დედამიწის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა, თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს წინასწარმეტყველებები მაინც მიგვანიშნებენ, რომ კაცობრიობას წინ, რომ იტყვიან, სახიფათო მოსახვევი ელის, ამდენად ყველას მეტი გონიერება გვმართებს.

## მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

### ხსოვნა

ეჰ, მერამდენედ ველარ ვიხილავთ
შენს კეთილ თვალებს, შენეულ ხედვას,
ველარ გაივლი შენს ლამაზ ბაღში,
იქ, სადაც შენი დარგული ხე დგას.
დაბადების დღეს მუდამ აღვნიშნავთ,
(უარის თქმა კი აღარ გაგივაძ,
საფლავზე სანთელს ისევ აგინთებთ,
ქარი ჩააქრობს მას შენს მაგივრად.
ვიგონებთ იმ დროს, მშვენიერებას
შენი ხელები როდესაც ქმნიდა,
დღეს სევდიანი, ნაღვლიან მზერით
წინ გვეგებები საფლავის ქვიდან.
მონატრებას ხომ ზღვარი არა აქვს,
ცრემლებით დღესაც ვასველებთ საფლავს,
მოვალთ, გვგონია ცოცხალს გიხილავთ,
მოვალთ და იმედს სიმწარე ახლავს.
უშენობას აქ ვერვინ შეავსებს,
შენს სახელს შენი სინდისი იცავს,
ფაფუკი იყოს შენთვის, ძვირფასო,
გულზე რომ გადევს ქართული მიწა.

**ავთანდილ შარიქაძე**
2010 წ.

### პოლიციელი არის სიგელი

პოლიციელი არის სიგელი
ერის ღირსების!
ერის დიდების!
ხალხი რომ ამით
მადლიერია,
გამარჯვებაა პოლიციელის.
ხალხზე ზრუნვაცა და
სამსახურიც
პოლიციელთა წმინდა ვალია,
დაცვას მოითხოვს მიწა, მამული,
მუნდირს, სამხრეებს ეს ავალია.
პოლიციელი არის იმედი,
სიმშვიდის, რწმენის ამაგდარია,
თავს ცა რომ გვადგას ასე უღრუბლო,
პოლიციელთა ხელს უმაგრია.

**თამაზ მამესწარაშვილი**

## დღის კალენდარი

## 20 მაისი



ამოდის 04.37
ჩადის 19.18

ამოდის 10.56
ჩადის 00.05

ღირსისა დავით გარეჯელისა და მოწაფისა მისისა ლუკიანესი (VI-VIIძ. მამადავითობა თბილისში (გარდამავალია, მოიხსენიება ამაღლების შემდგომ ხუთშაბათსძ.

ხსენება გამოჩინებისა პატიოსნისა ჯვარისა იერუსალიმს (351ძ; ღირსთა ასურელთა მამათა – იოანე ზედაზნელისა და 12-თა მოწაფეთა მისთა: აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა, ანტონ მარტყოფელისა, დავით გარეჯელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოზ სტეფანწმინდელისა (თათა მამებელისაძ, ისე წილკნელი ეპისკოპოსისა, იოსებ ალავერდელი ეპისკოპოსისა, ეზრდიოს (ისიდორეძ სამთავნელისა, მიქაელ ულუმბოელისა, პიროს ბრეთელისა, სტეფანე ხირსელისა და შიო მღვიმელისა (VI-VIIძ; ღირსისა ელია დიაკონისა (VIძ; მოწამისა აკაკი ასისთავისა (303ძ; ღირსისა ტარასი მეუდაბნოისა, სასწაულმოქმედისა, ლიკაონიელისა; მოწამეთა: კოდრატე ნიკომიდიელისა, სატორინესი, რუფინესი და სხვათა (IIIძ.

მოხსენიება პატიოსანი ჯვრის სასწაულისა, რომელიც გამოცხადდა ცაში, ქალაქ იერუსალიმში.

### დაიბადნენ:

**1799 – ონორე ბალზაკი,** დიდი ფრანგი მწერალი, გრანდიოზული ეპოპეის „ადამიანური კომედიის“ შემქმნელი. გარდაიცვალა 1850 წელს.

**1806 – ჯონ სტიუარტ მილი,** ინგლისელი ფილოსოფოს-პოზიტივისტი. გარდაიცვალა 1873 წელს.

**1897 – გრიგოლ (გუგულიძ ბუხნიკაშვილი,** თეატრმცოდნე და თეატრალური მოღვაწე. გარდაიცვალა 1979 წელს.

**1901 – მაქს ეივე,** ჰოლანდიელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი. გარდაიცვალა 1981 წელს.

**1915 – მოშე დაიანი,** ისრაელის არმიის გენერალი, „ექვსდღიანი ომის“ (1967 წ. ) გმირი. გარდაიცვალა 1981 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**ძვ. წ. 424 – „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე,** ძველი ბერძენი ისტორიკოსი. მისი „ისტორია“ სანდო წყაროს წარმოადგენს საქართველოს ძველი ისტორიისათვის.

**1506 – ქრისტეფორე კოლუმბი,** დიდი მოგზაური, ახალი კონტინენტის – ამერიკის აღმომჩენი.

### მოვლენები:

**1874** – ლევი შტრაუსმა ბაზარზე გასაყიდად გამოუშვა თავისი ცნობილი ლურჯი ჯინსები, რომლის ღირებულებაც 13,5 დოლარი იყო.

**1875** – პარიზში 17 სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონვენციას მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

**1900** – პარიზში დაიწყო II ოლიმპიური თამაშები.

**1927** – ამერიკელი მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი „სპირიტ ოფ სენტ ლუისის“ თვითმფრინავით დილის 7.40 საათზე გაფრინდა ნიუ-იორკიდან და 33 საათში ჩაფრინდა პარიზში. ეს პირველი შეუჩერებელი გაფრენა იყო ატლანტიკის ოკეანეზე.

**1927** – ბრიტანეთმა ცნო საუდის არაბეთის დამოუკიდებლობა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**კამერუნი** – უნიტარული სახელმწიფოს შექმნის დღე.
**კამბოჯა** – მსხვერპლთა დღე.
**კუბა** – დამოუკიდებლობის დღე.
**საუდის არაბეთი** – დამოუკიდებლობის დღე.
**ინდონეზია** – ეროვნული გამოღვიძების დღე.

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +26 |
| ქუთაისი. | +18 – +29 |
| ბათუმი. | +14 – +24 |
| ზუგდიდი. | +16 – +26 |
| თელავი. | +14 – +24 |



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2461 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6357 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9743 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2199 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2507 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1742 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6127 ლარი |



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## განცხადება

ვისაც კომფორტულ აგარაკზე ცხოვრება გიყვართ, დარეკეთ 899 16 93 57. აგარაკი სოფელ ტაბახმელაშია, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ნახვა. ფასი შეთანხმებით.

## ანეკდოტები

– ოღონდ, თუ ქალი ხარ, ისევ ნუ დამიწყებ, „ჩემი პოვნა ძნელია, დაკარგვა კი იოლიო“. – შენ რა, წინდები ხარ?

* * *

– გოგონი, თუ შეიძლება, ორი ვარდი მომეცით, – ეუბნება ტიპი ყვავილების გამყიდველს.

– თქვენ რა, სატირალში მიდიხართ?

– არა, ორი საყვარელი მყავს.

* * *



პრეზიდენტმა მედვედევმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც იკრძალება მისთვის ვლადიმერ ვლადიმეროვიჩობით მიმართვა.

* * *

პირველკლასელი მიხო პირველად მიდის სკოლაში. ჩაუარა საბავშვო ბაღის შენობას, რომლის ეზოშიც პატარები თამაშობენ.

– ეჰ, სიამოვნებით შემოგიერთდებოდით, მაგრამ განათლება არ მაძლევს ამის უფლებას, – ამოიოხრა მიხომ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.